# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 25 დეკემბერი 2006 №298 (2920) ფასი 50 თეთრი


# ბევრის დამტევი წელი

## დეპარტამენტმა ჯიბე დაცალა და სასმისი შეავსო



წლის სპორტსმენი: ზაზა კედელაშვილი



წლის ნაკრები: საქართველოს მორაგბეთა ნაკრები



წლის გუნდი: საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები

ბადრი კეთილაძის ფოტოები



წლის სპორტსმენი გოგონა: ელენე გედევანიშვილი



## იმპიჩმენტი და ინაუგურაცია

რომან სიჭინავა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი პრეზიდენტია

14

# ზამთრის საქართველო

სპორტის სასახლეში გახურებულ ბენდელას თასის ტრადიციულ გათამაშებას ჩამოუბნელდა





ბადრი კეთილაძის ფოტოები

## ბენდელას თასი

### A ჯგუფი

**ომც 1:1 დინამო 2**
ლ. ჩხაიძე; მამრაში

**გაგრა 4:2 აკადემია**
მუშკუდიანი (2), მეტრეველი, შარიქაძე; შველიძე, ჭიკაიძე

II ტური

**დინამო 2 2:0 აკადემია**
მამრაში, ლობჟანიძე

**გაგრა 3:2 ომც**
ბაბულაიძე, ტეტუნაშვილი, ჩაჩანიძე; ლაშა ჩხაიძე, ლევან ჩხაიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:4 | 6 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ომც | 2 | 0 | I | 1 | 3:4 | 1 |
| აკადემია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

### B ჯგუფი

I ტური

**ლუკა 2:2 ირაო**
ჯამარაული, დვალიშვილი; ლიპარტია (2)

**აფხაზეთი 1:0 ნ. დინამოელი**
დარასელია

II ტური

**აფხაზეთი 4:1 ირაო**
დარასელია, სილაგაძე, ქუთათელაძე, სანიკიძე; ლიპარტია

**ნ. დინამოელი 4:2 ლუკა**
უსენაშვილი, მიმინოშვილი, ვაჩეიშვილი (2); ბურდული, ოდიკაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ნ. დინამოელი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ლუკა | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | 1 |
| ირაო | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |

### C ჯგუფი

I ტური

**რუბიკონი 5:3 მესხეთი**
კუსრაშვილი (3), ცომაია, ნემსაძე; სეფერთელაძე (2), ინასარიძე

**საბურთალო 8:4 სეუ**
გოგუა (3), გუნია (2), კაკაშვილი (2), მურსცვალაძე; დვალი (2), ლოლაძე, მეგრელაძე

II ტური

**მესხეთი 4:3 საბურთალო**
გამცემლიძე (2), სეფერთელაძე, ინასარიძე; კაკაშვილი (3)

**სეუ 3:3 რუბიკონი**
აშვეთია (2), გრიგალაშვილი; ცომაია, არზიანი, კუსრაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბიკონი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:6 | 4 |
| საბურთალო | 2 | 1 | 0 | 1 | 11:8 | 3 |
| მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:8 | 3 |
| სეუ | 2 | 0 | 1 | 1 | 7:11 | 1 |

## ბავშვთა ტურნირი

### A ჯგუფი

I ტური

**35-ე სკოლა-2 2:1 ბათუმი**

**ოლიმპი 2:0 ნორჩი სიონი**

II ტური

**ბათუმი 3:2 ოლიმპი**

**ნორჩი სიონი 0:0 35-ე სკოლა-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა-2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ნორჩი სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

### B ჯგუფი

I ტური

**OFFS 3:6 იმედი**

**საბურთალო 5:3 თერჯოლა**

II ტური

**თერჯოლა 3:1 იმედი**

**საბურთალო 8:4 OFFS**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბურთალო | 2 | 2 | 0 | 0 | 13:7 | 6 |
| იმედი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:6 | 3 |
| თერჯოლა | 2 | 1 | 0 | 1 | 6:6 | 3 |
| OFFS | 2 | 0 | 0 | 2 | 7:14 | 0 |

### C ჯგუფი

I ტური

**35-ე სკოლა-1 3:0 წყალტუბო**

**ლოკომოტივი 1:0 გურია**

II ტური

**35-ე სკოლა-1 1:0 ლოკომოტივი**

**გურია 6:1 წყალტუბო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა-1 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| გურია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| წყალტუბო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |

# მე ქართველი ვარ!

## ზურაბ არზიანმა საქართველო აირჩია და ამის სჯერა



ამ სეზონში რუსეთის პრემიერლიგაში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელთა ყველაზე დიდი დიასპორა ყაზანის „რუბინში" იყო. ხუთი ქართველი ფეხბურთელიდან სამმა — მიხეილ აშვეთიამ, გიორგი ქინქლაძემ და ზურაბ არზიანმა უკვე დატოვეს „რუბინი". სანამ აშვეთია და ქინქლაძე გუნდის ძიებაში არიან, არზიანმა უკვე მოასწრო კონტრაქტის გაფორმება — საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეს ლიდერ რუსთავის „ოლიმპში" გაატარებს. რუსთაველებმა არზიანი „რუბინიდან" იჯარით აიყვანეს. ჩემპიონატის დაწყებამდე კი არზიანი „ბენდელას თასის" გათამაშებაში მონაწილეობს და ჩვენც სეუ-სთან თამაშის შემდეგ გავესაუბრეთ...

— **შენი საქართველოში ჩამოსვლა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია...**

— რუსთავის „ოლიმპში" ხუთი თვით ვიქნები — ამის თაობაზე კლუბების ხელმძღვანელები უკვე შეთანხმდნენ. „ოლიმპს" დიდი მიზნები აქვს და შევეცდები, ამის მიღწევაში მეც მივეხმარო. ისე კი, თავადაც მინდოდა საქართველოში თამაში.

— **„რუბინის" სარეზერვო გუნდში თამაშს საქართველოს უმაღლეს ლიგაში თამაში არჩიე?**

— ასეა. წინა სეზონში ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი და შანსიც მქონდა, იქ მეთამაშა, მაგრამ „რუბინი" ფინანსურად მძლავრი კლუბია და ძალიან ბევრი ფეხბურთელი ჩამოიყვანა, რომლებსაც დიდ თანხას უხდიან. ცხადია, მათ თამაშის გაცილებით დიდი შანსი ჰქონდათ და ისევ დუბლებში მომიწია გადასვლამ.

— **ახალი სეზონისთვის ძირითად შემადგენლობაში გადაყვანაზე არაფერი უთქვამთ?**

— შარშან კი, წლეულს აღარ შემოუთავაზებიათ. „რუბინში" ახალგაზრდებს თამაშის შანსს არ აძლევენ. ვინც ახლა „რუბინში" გადავა, უკვე ძირითადისთვის უნდა იყოს გამზადებული, თორემ ძალიან გაუჭირდება.

— **„რუბინთან" რა ვადიანი კონტრაქტი გაკავშირებს?**

— კიდევ ორი წელი დამრჩა.

— **სხვა გუნდებიდან ხომ არ გქონია შემოთავაზება?**

— იყო რამდენიმე ვარიანტი ოთხი კლუბიდან, მაგრამ ჩემმა მენეჯერმა რუსთავში წამოსვლა მირჩია — ეს სათამაშო პრაქტიკის მისაღებად ყველაზე რეალური ვარიანტია.

— **მაინც რა ვარიანტები იყო: რუსული თუ ევროპული?**

— როგორც ვიცი, ორივე. მაგრამ ამ თემაზე საუბარი მე არ შემიძლია.

— **„ოლიმპიდან" ისევ „რუბინში" აპირებ დაბრუნებას?**

— ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ ისეთ დონეზე ვითამაშებ, რომ „რუბინში" ჩასვლისთანავე ძირითად შემადგენლობაში მოვხვდები, არ არის გამორიცხული, დავბრუნდე. სხვა შემთხვევაში კი მირჩევნია, სხვა კლუბი მოვძებნო.

— **საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყავი გამოძახებული, მაგრამ არ გითამაშია...**

— უფრო სწორად, ვერ ვითამაშე. მე რუსეთის მოქალაქე ვარ და რუსეთის პასპორტი მაქვს. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენჯერმე კი დამიძახეს, მაგრამ სწორედ ამის გამო ვერ ვითამაშე. — ჩამოსვლის შანსს „რუბინი" არ მაძლევდა. თუმცა მე ძალიან მინდა, საქართველოს ნაკრებში ვითამაშო, ამის გამო რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშზეც ვთქვი უარი. მე ქართველი ვარ და ჩემი ქვეყნის ნაკრებში მინდა თამაში. დარწმუნებული ვარ, ამას მივაღწევ კიდეც.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# გოგიტა გოგუას მინი-არდადეგები

საახალწლოდ თბილისში ჩამოსული გოგიტა გოგუა ჯერაც ახალი გუნდის მოლოდინშია და თან „ბენდელას თასზეც" თამაშობს. ჩვენც გოგიტას სპორტის სასახლეში გამოველაპარაკეთ...

— „ბენდელას თასზე" თამაში არც მიფიქრია, უბრალოდ, საყურებლად მივედი, თამაში შემომთავაზეს და უარი არ მითქვამს.

— **ადრეც გითამაშია მინი-ფეხბურთი?**

— დაახლოებით ორი წლის წინ.

— **ჩანს, შენთვის სულ ერთია, დარბაზში თამაშობ თუ დიდ მოედანზე...**

— დიდ ფეხბურთსა და მინი-ფეხბურთს შორის საკმაო განსხვავებაა. მართალი გითხრათ, მინი-ფეხბურთი უფრო ძნელი სათამაშოა.

— **მოკლედ, რთული და წარმატებული სეზონის შემდეგ ერთგვარი განტვირთვის უფლებას აძლევ საკუთარ თავს...**

— ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩავატარე. რუსული პრემიერლიგა საკმაოდ მაღალი დონისაა და რუსი ჟურნალისტების მიერ საუკეთესო ახალბედად დასახელება დიდი პატივია ჩემთვის.

— **ახალზე ახალი რა არის?**

— ახალ წლამდე ვისვენებ, შემდეგ კი ახალი გუნდიც მეცოდინება. სად გადავალ? ჯერჯერობით ამის დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

**სალომე ხარატიშვილი**

# ექვსი დღეც და...

## ახალი კლუბი ჯერაც გზაშია



**კარგა ხანია,** ლევან მელქაძე ფორმალურად ირიცხება ნორვეგიულ „ვოლერენგაში". 2004-2005 წლების საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ახალ კლუბს ეძებს.

„ჯერ მიახლოებითაც არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას. უცხოეთიდან რაღაც ვარიანტები თითქოს არის, მაგრამ რეალური არაფერი. ეს წელიწადი, ფაქტობრივად, მთლიანად გამიცდა. „ვოლერენგაში" კონფლიქტი არავისთან მქონია, მაგრამ არ მათამაშებდნენ" — გვითხრა მელქაძემ, რომელსაც ნორვეგიულ კლუბთან 31 დეკემბერს უმთავრდება კონტრაქტი და თავისუფალი აგენტი ხდება.

გეცოდინებათ, ლევანი ორიოდ თვის წინ რუსთავის „ოლიმპში" ვარჯიშობდა, თუმცა თავად გვითხრა, უბრალოდ, გუნდთან ერთად მინდოდა მომზადება და ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ოლიმპის" წევრი გავხდებიო.

„ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და ფორმას ვინარჩუნებ. თუ უცხოეთში წასვლა არ გამოვიდა, რას ვიზამ, საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშებ..."

**ლუკა თალაკვაძე**

# ახალი და უცხო ნაკადი ზესტაფონს

**„ზესტაფონი"** რამდენიმე ლეგიონერით რომ აპირებს გაძლიერებას და ერთი გაბონელი და ორი ნიგერიელი ფეხბურთელის ჩამოყვანაზე ფიქრობს, უკვე ვწერდით. კულუარული ინფორმაციით, ამათ გარდა „ზესტაფონში" კიდევ ორი ნიგერიელი და ერთიც ბრაზილიელი ფეხბურთელი გაისინჯებიან. სამივე მოთამაშე ახალგაზრდაა — ნიგერიელები სულაც თავისი ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებში თამაშობენ. ეს ტრიო იმერლებს უცხოურ შეკრებაზე უნდა შეუერთდნენ.

როგორც შევიტყვეთ, მათ საქართველოში ჩამოყვანას ბრაზილიაში მომუშავე ქართველი მენეჯერი გოჩა ალადაშვილი აპირებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თავისი ძოძუაშვილი სიონსაც ეყოლება

## ბოლნისელებს ოლიმპიდან გიორგი ონიანიც მიჰყავთ

საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის „სიონი" „თანამეგობრობის თასზე" სათამაშოდ მოსკოვში 18 ან 19 იანვარს გაემგზავრება, ტურნირი კი 20 იანვარს იწყება. ბოლნისელებმა უკვე გააგზავნეს მოსკოვში ფეხბურთელთა 24-კაციანი სია, თუმც ეს განაცხადი გაფართოებულია და „სიონი" მოსკოვში 18 ან 19 ფეხბურთელს წაიყვანს

## საქართველოს ჩემპიონი მოსკოვში მსაჯსაც წაიყვანს

ბოლნისელთა სამოსკოვო გაფართოებული სია ასეთია:

***მეკარეები:*** *მინდია ბობლიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი, ზურაბ მამალაძე;*

***მცველები:*** *ბოიომო ფრიდოლინი, ლაშა ჭელიძე, თემურ რაქვიაშვილი, მიხეილ კობაური, დავით ჭიჭვეიშვილი, ლევან სილაგაძე;*

***ნახევარმცველები:*** *ზაზა ჭელიძე, გიორგი ოქროპირიძე, გიორგი კვიტაიშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, მურმან ქურასბედიანი, არჩილ ალავიძე, ლევან ბაჯელიძე, ლაშა ქებაძე, თორნიკე აფციაური, გიორგი სეთურიძე, ვიტალი დარასელია;*

***თავდამსხმელები:*** *ბაჩანა ცხადაძე, გასტონ ევოჩე, ერიკ რომეო ჩასემი, გიორგი კახელიშვილი.*

ადრეც გაუწყეთ, რომ „სიონი" ამ დროისთვის უგუნდოდ მყოფ მცველ სერგო ორბელაძესაც იმატებდა, მაგრამ ტრანსფერი არ გამოვიდა. ორბელაძის სანაცვლოდ „სიონს" სურს, მოსკოვური ტურნირისთვის რუსთავის „ოლიმპიდან" აფციაურის, ქებაძის, სეთურიძის და კახელაშვილის გარდა კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატოს — გიორგი ონიანი. ბოლნისელებმა თხოვნით მიმართეს ტურნირის ორგანიზატორებს, რომ მიუხედავად განაცხადების შევსების ვადის ამოწურვისა, ონიანი მაინც შეიყვანონ განაცხადში და ახლა მოსკოვიდან ელიან პასუხს.

მოსკოვში „სიონის" წარმომადგენელი იქნება მიხეილ ძოძუაშვილი, რუსთავის „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის ვაჟი. თუ ტურნირზე „სიონის" რომელიმე ფეხბურთელით დაინტერესდებიან, მათთან მოლაპარაკებას მიხეილ ძოძუაშვილი გამართავს.

„თანამეგობრობის თასის" საგაისო გათამაშებას ქართველი მსაჯიც მოემსახურება — ლევან კვარაცხელია, ვისაც ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელი ამირან კაჭახიძეც წაჰყვება. ტურნირზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი კი ალმასკომის წევრი გრიგოლ ცაავა იქნება.

„სიონმა" 20 დეკემბერს დაიწყო მზადება და ახლაც თბილისში, „ქარიშხალას" დარბაზში ვარჯიშობს. 3 იანვრიდან გუნდი 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე დაიწყებს ვარჯიშს. „ოლიმპიდან" სამოსკოვოდ ნათხოვარი ფეხბურთელები რუსეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე თავიანთ გუნდში ივარჯიშებენ და „სიონს" მხოლოდ ორმხრივი თამაშების დროს შეუერთდებიან.

„სიონში" ისიც გვითხრეს, რომ მათი კამერუნელი მთავარმეგოლე ჩასემით უკვე ბულგარული კლუბებიც დაინტერესდნენ, რომელთაც ფრიდოლინიც მოსდით თვალში.

**დავით თავართქილაძე**





# ძველი და ახალი ამბები ამერიდან

**თბილისის** „ამერმა" გუშინ იპოდრომზე ვარჯიშით დაიწყო მეორე წრისთვის მზადება. იქამდე კი, ორი დღე ფეხბურთელების სამედიცინო შემოწმებას დაეთმო.

გუნდის ექიმმა *ზურაბ ლომინაძემ* შემოწმების შედეგებზე გვითხრა: „რაიმე სერიოზული პრობლემა არავის აქვს. ზოგიერთ ფეხბურთელს ჩვეულებრივთან შედარებით ერთი-ორი კილოგრამი აქვს მომატებული, მაგრამ არდადეგების მერე ეს ბუნებრივიცაა და რამდენიმე დღეში ვარჯიშით გამოსწორდება. გეხსომებათ, რომ დენის დობროვოლსკის და სულიკო დავითაშვილს ტრავმები ჰქონდათ და ახლა მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. როგორც ხედავთ, ისინი დანარჩენ ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშობენ. ორი კვირის წინ ცხვირის ოპერაცია გაიკეთა დავით ბოლქვაძემ. მას სუნთქვის პრობლემა ჰქონდა. ერთი სიტყვით, ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი წესრიგშია."

სანამ ფეხბურთელები იპოდრომის გარშემო დარბოდნენ, „ამერის" მთავარ მწვრთნელს *გიორგი ჩიხრაძეს* სამეორეწრეო მზადების გეგმაზე გავესაუბრეთ:

„ვარჯიში დღეს, გუნდის საერთო კრების მერე დავიწყეთ. თბილისში 6 იანვრამდე ვიქნებით და ამ პერიოდს ფიზიკურ მომზადებას დავუთმობთ, ტრენაჟორებზეც ვივარჯიშებთ. საახალწლოდ კი სამი დღე დავისვენებთ...

...6 იანვარს ათი დღით ანთალიაში მივდივართ და იქაც ყურადღებას ფუნქციონალურ მომზადებას დავუთმობთ. დღეში სამჯერადი ვარჯიშები გვექნება. ვფიქრობთ ორი ამხანაგური მატჩის ჩატარებაზეც...

...მერე თბილისში დავბრუნდებით და ცხრა დღე აქ ვივარჯიშებთ. ორი ამხანაგური თამაშის ჩატარებას ქართულ გუნდებთან ვგეგმავთ...

...27 იანვარს ისევ ანთალიაში წავალთ ორი კვირით. მეორე ანთალიურ შეკრებაზე აქცენტს ტექნიკატაქტიკურ მომზადებაზე გავაკეთებთ და ოთხ საკონტროლო შეხვედრასაც ჩავატარებთ...

...თბილისში 11 თებერვალს დავბრუნდებით და ერთ კვირაში უკვე „დინამოსთან" თასის მეოთხედფინალი გვაქვს."

გუშინ გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა საჩხერის „ჩიხურადან" გადასულმა საყრდენმა ნახევარმცველმა მიხეილ მესხმა. სხვებთან ერთად ივარჯიშა „ამერის" მეორე გუნდიდან პირველში გადაყვანილმა ახალგაზრდა მცველმა ირაკლი ფირანიშვილმაც, რომელიც „ამერის" აღზრდილია, მერე „თბილისში" და „დილაში" ითამაშა, ამ სეზონის პირველ წრეში კი „ამერის" ფარმ-კლუბში დაბრუნდა.

„ამერში" დაბრუნდა ვეტერანი მეკარე რევაზ ნაჭყეპიაც. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის პირველ წრეში ის რუსთავის „ოლიმპის" მეორე მეკარე იყო. ამიერიდან ნაჭყეპია „ამერის" მეორე გუნდის მოთამაშე-მეკარეთა მწვრთნელი იქნება. მეორე წრეს ფარმ-კლუბში დაიწყებენ ჯაბა ბერიანიძე და დავით სევასტოპულო. ხოლო გიორგი სილაგავას „ამერი", სავარაუდოდ, იჯარით გაუშვებს.

კლუბი დატოვა მცველმა ამირან კედელაშვილმა, ვინც „ამერში" გუნდის დაარსების დღიდან თამაშობდა.

**ბოტე ბებელია**



# ამერული ჩანაწერები

**არაერთხელ** თქმულა, რომ „ამერი" ყველაზე მოწესრიგებული კლუბია საქართველოში, რის დასტურადაც ამერელთა გამოცემულ ყოველწლიურ ცნობარებსაც ასახელებენ. სამნახევარ წელიწადში, რაც ეს კლუბი საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს, ამერელებმა 7 ყოველწლიური ცნობარი და ერთიც საქართველოს თასის მოგებისადმი მიძღვნილი საგანგებო ჟურნალი დაბეჭდეს.

ახლა კი ახალ წიგნზე: „სარბიელის" ჟურნალისტმა ილია ბაბუნაშვილმა, რომლის თვალწინაც გაირბინეს ამ წლებმა და რომელიც, სხვათა შორის, „ამერის" ისტორიაში პირველი ოფიციალური მატჩის მიმოხილვის ავტორია, „ამერზე" გაგონილი თუ თავად ნანახი ამბები ერთ წიგნად შეკრა.

„ამერული ჩანაწერები" — ასე ჰქვია ამ წიგნს და მასში ის ამბებია მოთხრობილი, რომლებზეც არასდროს დაწერილა გაზეთებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან კობიაშვილი ბასტიან შვაინშტაიგერის წინააღმდეგ

# დოიჩე ველე კობიაშვილზე

ამ ცოტა ხნის წინ გერმანულ მედია-ჰოლდინგ „დოიჩე ვილეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა წერილი გელზენკირხენის „შალკე 04“-ზე, რომელშიც „შალკეს“ შუახაზელი ლევან კობიაშვილიცაა ნახსენები. გერმანელმა ჟურნალისტმა კობიაშვილი დადებითად, თუმც ჩვენთვის ალბათ უხერხული მეტაფორული ხერხით მოიხსენია...

„შალკე“ ბუნდესლიგაში ახლა მეორე ადგილზეა და პირველადგილოსან ბრემენის „ვერდერს“ ოდენ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება. პოპულარული გამოცემა „დი ველტის“ სპორტის განყოფილების რედაქტორს ლარს გარტანშლიგერს კი „დოიჩე ველესთვის“ უთქვამს, ნოემბერში „შალკეს“ ფეხბურთელებს პრესასთან საუბარი აკრძალული ჰქონდათ და, როგორც ჩანს, გუნდს ეს წაადგაო.

ევროტურნირზე ხელმოცარვის შემდეგ „შალკე“ მთლიანად ბუნდესლიგაზეა კონცენტრირებული და თუ ლიდერ გუნდებს ყოველთვის ვერ ამარცხებს, მაჩანჩალებთან ქულებს საერთოდ არ კარგავს — ასე ხსნის „ხუმარათა“ ბუნდესლიგურ წარმატებებს „ვესტდოიჩე ალემანიას“ ჟურნალისტი ვოლფგანგ კერხოფი.

წერილში ნათქვამია იმაზეც, რომ „შალკეს“ თავკაცი მირკო სლომკა ძალიან გაბედული მწვრთნელი აღმოჩნდა და ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სწორედ მისი გაბედულობის შედეგია.

წერილის ავტორი ჯეფერსონ ჩეიზი არც ფეხბურთელების წვლილს ივიწყებს და დასძენს, რომ „შალკეს“ ბოლოდროინდელი წარმატების ფორმულას მეტწილად ოთხი ფეხბურთელი წარმოადგენს — მცველი რაფინია, ფორვარდი კევინ კურანი, ვინც, როგორც იქნა, ფორმაში შესვლას იწყებს და ცხენებივით მუშა ნახევარმცველები — გუსტავო ვარელა და ლევან კობიაშვილი.

**ნიკა ჯორჯაძე**

# კალაძის აქილევსს შვებულებამ მიუსწრო



ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲛᲐ „მილანმა“ თვალებში გამოიხედა და ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო — წინა ტურში შავ-წითლებმა „კატანიას“ სძლიეს, ახლა კი „უდინეზე“ 3:0 შემოემარცხათ.

ორივე მატჩში ითამაშა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ და საკმაოდ კარგადაც. თუმცა ეგაა, კვალავაც აწუხებს ტრავმა...

— აქილევსის მყესებზე პრობლემები მაქვს და მიხარია, რომ ახლა რამდენიმედღიანი დასვენება გვექნება. ვეცდები, ამ პაუზით ვისარგებლო და ვიმკურნალო. „მილანი“ დიდი ოჯახია, რომელიც ერთიანი ძალებით ცდილობს ცუდი პერიოდის დაძლევას და იმედი მაქვს, მომავალი წლიდან უკეთ ვითამაშებთ — განაცხადა კალაძემ „უდინეზესთან“ მატჩის შემდეგ.

**კახა ზალამბერიძე**

# მალხაზ ასათიანზე ბევრი არ მიფიქრია



ვინ გამოირჩევა უკრაინაში მოთამაშე ქართველთაგან ყველაზე მეტად და, უპირველესად, რა თქმა უნდა, ვასილ გიგიაძე. კრივოი როგის „კრივბასის“ ქართველი კაპიტანი 8 გოლით პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირი გახდა...
ვასო ახლა ქუთაისშია, შვებულებას მშობლიურ ქალაქში ატარებს, თუმცა უკრაინელი ჟურნალისტებისგან „მოსვენება“ არც იქ აქვს...

— სად ისვენებთ რთული სეზონის შემდეგ?

— ახლა ქუთაისში ვარ. სხვაგან წასვლას არც ვაპირებ, მირჩევნია, შინ, ჩემს ოჯახთან და ახლობლებთან ვიყო. 3 იანვარს კი კრივოი როგში ჩავალ.

— „კრივბასში“ შექმნილ სიტუაციაზე რას იტყვით?

— ახლა გამიჭირდება რაიმეს თქმა. ვფიქრობდი, ზაფხულში ყველანაირი პრობლემა მოგვარდა-მეთქი, მაგრამ ახლა ისევ რთულადაა საქმე...

— როგორ შეაფასებთ მწვრთნელ-პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომლებმაც პირველი წრის დასრულებისთანავე დატოვეს გუნდი?

— არ მაქვს უფლება, მათ გადაწყვეტილებას კომენტარი გავუკეთო. თან ისიც არ ვიცი, როგორი იქნება ჩემი მომავალი „კრივბასში“. ვფიქრობ, ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა კრივოი როგში დავბრუნდები.

— ის თუ იცით, რომ „კრივბასის“ ახალი მწვრთნელი ოლეგ ტარანია?

— დიახ, ეს უკვე მაცნობეს.

— მას იცნობთ?

— არა, მაგრამ მასზე ბევრი გამიგია. იმედი მაქვს, მის ხელში „კრივბასს“ წარმატებები ექნება.

— როგორ ფიქრობთ, გუნდის გამოსვლაზე დიდი გავლენა მოახდინა ფინანსურმა პრობლემამ?

— მგონი, შემადგენლობასაც არ აწყენდა გაძლიერება. თუმცა ამის მიუხედავად, ცუდად არ გვითამაშია. ფინანსები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი.

— იმას ხომ არ უარყოფთ, რომ „შახტართან“ მატჩის წინ ბოიკოტის საშიშროება იყო?

— არა, არ უარვყოფ. მაგრამ კლუბს ფეხბურთელების ვალი ჰქონდა და ეს საშიშროებაც ამის გამო გაჩნდა.

— ვალი უკვე გაგისტუმრეს?

— დიახ.

— პირველი წრის ბომბარდირი კი გახდით, მაგრამ გოლების ნახევარი პენალტით გაიტანეთ, რითაც უკრაინაში ყოველთვის გამოირჩეოდით. ასეთი რა საიდუმლო გაქვთ?

— ძალიან მიხარია, რომ პირველი წრის მერე ბომბარდირი ვარ და ძალიან მინდა, სეზონის ბოლოსაც ასე იყოს. რაც შეეხება პენალტის დარტყმის საიდუმლოს, ასეთი რამ არ გამაჩნია. უბრალოდ, ვურტყამ და გამაქვს!

— როგორც ვიცით, ზაფხულში რუმინეთში გადასვლის შანსი გქონდათ. ნანობთ, რომ ბუქარესტის „რაპიდში“ არ გადახვედით?

— წარსულზე არასოდეს ვნანობ. ბუქარესტში მართლა ვიყავი, თუმცა კრივოი როგიდან დამირეკეს და უკან დავბრუნდი. ისე, საინტერესო კი იყო ევროთასებზე თამაში, მაგრამ რას ვიზამ...

— თანაგუნდელებიდან ყველაზე ახლოს ვისთან ხართ?

— რთული შეკითხვაა. ძალიან მეგობრული გუნდი ვართ და ურთიერთობა არავისთან მიჭირს, მაგრამ ჩემ თანამემამულე ლადო ბურდულს მაინც გამოვარჩევ.

— და უკრაინაში მოთამაშე სხვა ქართველებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

— რა თქმა უნდა. ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს. როცა ვხვდებით, რესტორანშიც ვულხენთ.

— იმედი გაქვთ, რომ მათ საქართველოს ნაკრებშიც შეხვდებით?

— რა თქმა უნდა, იმედი მაქვს. ძალიან ვცდილობ, საქართველოს ნაკრებში, რაც შეიძლება, ხშირად ვითამაშო, მაგრამ ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული. თუ კლაუს ტოპმიოლერი გამომიძახებს, ვითამაშებ.

— თქვენი ტყუპისცალი სოსოც ხომ ფეხბურთელია?

— კი, ბოლოს სუმის „სპარტაკში“ თამაშობდა, მაგრამ ეს გუნდი ახლა აღარ არსებობს. თან ჩემი ძმა ტრავმირებულია და სხვა გუნდში გადასვლას ველარ ახერხებს.

— ხშირად ეშლებოდით სხვებს, ვინ რომელი იყავით?

— ადრე, როცა საქართველოში ვთამაშობდით, ძალიან ხშირად ვეშლებოდით. ახლა ეს იშვიათად ხდება.

— თქვენი ქალიშვილის ნათლია მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი მალხაზ ასათიანია. რატომ მაინცდამაინც ის?

— მალხაზს ბავშვობიდან ვიცნობ, ჩემი უახლოესი მეგობარია. ამიტომ, როცა ბავშვს ვნათლავდი, ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ნათლია.

— როგორ აღნიშნავთ ახალ წელს?

— ახალი წელი ისევე, როგორც უკრაინაში, საქართველოშიც საოჯახო დღესასწაულია. ამიტომ, ახალ წელს შინ, ოჯახთან ერთად შევხვდები.

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# თუ არა და, წავალ!

## ოლეგ ბლოხინის ულტიმატუმი



ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ნაკრების თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ გადადგება, თუ უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია ლეგიონერთა რაოდენობას არ შეამცირებს. ბლოხინის აზრით, სასურველია, კლუბებს მხოლოდ შვიდი ლეგიონერის ყოლის უფლება მიეცეთ, სხვა შემთხვევაში, ნაკრებში მის მუშაობას აზრი ეკარგება.

— თუ ამას ყურს არავინ ათხოვებს, შეუძლიათ, ჩემი იმედი აღარ ჰქონდეთ. ბოლო ხანებში ნაკრებში ისეთ ფეხბურთელებს ვიწვევდი, რომელთაც სხვა შემთხვევაში შანსი არ ექნებოდათ, მაგრამ ახლა გამოსავალი არ არის, რადგან ისინი ლეგიონერებს კონკურენციას ვერ უწევენ და კლუბების შემადგენლობებში ვერ ხვდებიან — განაცხადა ბლოხინმა.

**კახა ზალამბერიძე**

# შეშლილი კვირის დასაწყისი


AFP უიგანიდან

არიენ რობენმა „ჩელსის" ბოლო წუთზე მოაგებინა

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XIX ტური

**ასტონ ვილა 0:3 მანჩესტერი**

0:1 რონალდუ (58), 0:2 სქოულზი (64), 0:3 რონალდუ (85)
ასტონ ვილა: კირალი, ა. ჰიუზი, მელბერგი, გ. კეჰილი, ბერი, სტივენ დევისი, კ. გარდნერი, მაკკანი (ანხელი 76), ს. პეტროვი, აგბონლაჰორი, სატონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, პარკი (რუნი 66), ფლეტჩერი, სქოულზი (სილვესტრი 88), გიგზი (ოში 88), რონალდუ, საა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ვიდიჩი, მაკკანი, სატონი, სქოულზი
მსაჯი: ბენეტი
42 551 მაყურებელი

**უიგანი 2:3 ჩელსი**

0:1 ლამპარდი (13), 0:2 კალუ (30), 1:2, 2:2 ჰესკი (45, 75), 2:3 რობენი (90)
უიგანი: კირკლანდი, ბაინსი, ბოისი, დე ზეუვი, ჰალი, კილბეინი, ლანძაატი (რაიტი 84), სკოკო, იოჰანსონი (კოტერილი 72), ტოდოროვი (ტილი 77), ჰესკი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
ჩელსი: ილარიო, ესიენი, ბულარუზი (შევჩენკო 79), რ. კარვალიუ, ეშლი კოული, მაკელელე (მიკელი 79), ბალაკი, ლამპარდი, რობენი (ჯერემი 90), ს. კალუ, დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: რობენი, ბულარუზი, ლამპარდი, ჰესკი, მიკელი, დე ზეუვი, კილბეინი
მსაჯი: დინი
22 077 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 უოტფორდი**

1:0 ბელამი (47), 2:0 ხაბი ალონსო (88)
ლივერპული: ხ. რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (მარკ გონსალესი 65), ხაბი ალონსო, ჯერარდი, ლუის გარსია, ბელამი (კრაუჩი 82), კუიტი (ფ. აურელიო 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
უოტფორდი: ფოსტერი, შიტუ, დე მერიტი, მარიაპა, სტიუარტი, ბანგურა (ფრენსისი 82), მაჰოუნი, ბუაზა, ე. იანგი, ჰენდერსონი (მაკნამი 60), ტ. სმიტი
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
მსაჯი: დოუდი
42 807 მაყურებელი

**არსენალი 6:2 ბლექბერნი**

0:1 ნონდა (3პ), 1:1 ჟილბერტო სილვა (10), 2:1 გლები (23), 3:1 ადებაიორი (27პ), 3:2 ნონდა (69), 4:2, 5:2 ვან პერსი (85, 89), 6:2 ფლამინი (90)
არსენალი: ლემანი, ჰოიტი, კ. ტურე, ჯურუ, კლიჩი, გლები (უოლკოტი 88), ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, როსიცკი (ფლამინი 71), ვან პერსი, ადებაიორი (ჟულიო ბაპტისტა 89)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნილი, ოიერი, ტოდი, გრეი (დერბიშირი 63), ემერტონი, თუგაი, სევიჯი, პედერსენი, ბენტლი, ნონდა
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ნილი, ვან პერსი, გლები, ადებაიორი, ემერტონი, სევიჯი
მსაჯი: ვები
59 913 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:2 ბოლტონი**

0:1, 0:2 ანელკა (9, 25)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ონუა, დისტინი, დანი, ტეტჩერი (დაბო 56), ტრაბელსი, ბარტონი, აირლენდი, ვასელი, მილერი, დიკოვი (სამარასი 55)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნ. ჰანტი, ბენ ჰაიმი, მეიტე, ფეიე, კამპო, ნოლანი, სპიდი, პედერსენი (რ. გარდნერი 87), დიუფი (ვაზ ტე 72), ანელკა
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: დიკოვი, დიუფი, ფეიე, ჰანტი
გაძევება: ბარტონი (87)
მსაჯი: რაილი
40 157 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:1 ტოტენჰემი**

1:0 დაიერი (3), 2:0 მარტინსი (7), 2:1 მერფი (15), 3:1 პარკერი (34)
ნიუკასლი: გივენი (სრნიჩეკი 87), რიმეიჯი, ს. ტეილორი, ჰანინგტონი, სოლანო, მილნერი, ბათი, ემრე (სიბიერსკი 66), პარკერი, დაიერი (როსი 77), მარტინსი
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, ლ. კინგი, ი. ლი, ჰადლსტოუნი, ჯალი, ზოკორა (მიდო 66), მერფი, მალბრანკი, ბერბატოვი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: ჰადლსტოუნი, მილნერი
მსაჯი: ვაილი
52 079 მაყურებელი

**პორტსმუთი 3:1 შეფილდი**

0:1 ჰალსი (5), 1:1 კოზლუკი (48ს.კ.), 2:1 კემპბელი (55), 3:1 პამარო (68)
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, ს. კემპბელი, პრიმუსი, პამარო, მ. ტეილორი, შ. დევისი, პ. მენდეში (მ. ფერნანდეში 87), ონილი (კრანჩარი 90), კანუ (ენდი კოული 84), მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
შეფილდი: კენი, კ. დევისი, გირი, კოზლუკი, მორგანი, გილესპი, იაგიელკა, ტონგე (მონტგომერი 72), ქუინი, ვებერი (კაზიმ-რიჩარდსი 75), ჰალსი (ნადე 72)
მწვრთნელი: ნილ უორნოკი
გაფრთხილება: გირი, კოზლუკი
მსაჯი: პოლი
20 164 მაყურებელი

**ფულემი 0:0 ვესტ ჰემი**

ფულემი: ნიემი, ვოლცი, როსენიორი, კრისტენვალი, ბოკანეგრა, კედრუ, მ. ბრაუნი, რუტლეჯი, რაძინსკი, ჰელგუსონი, მაკბრაიდი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ვესტ ჰემი: გრინი, სპექტორი, დეილი, ე. ფერდინანდი, კონჩესკი, მალინსი, რეო-კოკერი, ბოიერი (ბენაიუნი 59), ეზერინგტონი, ჰარვუდი (მაკკარტნი 86), ზამორა (შერინგემი 70)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: სპექტორი, ჰელგუსონი, რეო-კოკერი
გაძევება: კონჩესკი (85)
მსაჯი: ფოი
22 452 მაყურებელი

**რედინგი 0:2 ევერტონი**

0:1 ჯონსონი (15), 0:2 მაკფადენი (47)
რედინგი: ჰანემანი, მარტი, ინგიმარსონი, სონკო, შორი, ჯ. ჰარპერი, ს. ჰანტი (ოსტერი 70), სიდუელი, ლიტლი, სეოლი (ლიტა 54), კ. დოილი (ლონგი 85)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, ნეისმიტი, ლესკოტი, კარსლი, საიმონ დევისი, ოსმანი, არტეტა. მაკფადენი (ბიტი 76), ე. ჯონსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
მსაჯი: ტერნერი
24 000 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:0 ჩარლტონი**

1:0 აიეგბენი (29), 2:0 არკა (52)
მიდლსბრო: შვარცერი, ე. დევისი, ვუდგეიტი, პოგატეცი, არკა, ე. ტეილორი, ჯ. ბოატენგი, ჯ. მორისონი (პარნაბი 88), დაუნინგი, აიეგბენი, ვიდუკა (კრისტი 75)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ჩარლტონი: კარსონი, სანკოფა, ჰრეიდარსონი, ელ კარკური, ფორჩუნი, ჯ. ტრაორე (რომედალი 66), ფაიე (მ. ბენტი 55), კიშიშევი, ჰოლანდი, ბ. ჰიუზი, დ. ბენტი
მწვრთნელი: ლეს რიდი
გაფრთხილება: ფორჩუნი
მსაჯი: სტაილზი
32 013 მაყურებელი

**ინგლისში** საშობაო კვირეული დაიწყო და, რა თქმა უნდა, პრემიერლიგულმა სიგიჟემაც თავი იჩინა. „მანჩესტერმა" რონალდუს ოსტატური დუბლითა და პოლ სქოულზის საფირმო შორეულით, მეორე ტაიმში დააშამათა „ასტონ ვილა" და ალექს ფერგიუსონმა ბირმინგემიდან გამოსძახა ჟოზე მაურინიუს, მგონი ამ კვირაში მეორედ მოგიწევს ბოდიშის მოხდაო.

„მან „ევერტონის" ფეხბურთელს სიმულიანტობა დააბრალა და მოუბოდიშა. მან ასევე თქვა, რომ საშობაოდ ლიდერობას წაგვართმევდა. ესეც ტყუილი იყო და ეგებ მოიბოდიშოს კიდეც" — თქვა ფერგიმ.

„მანჩესტერში" ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა მოშუშებულმა პარკმა და მშვენივრადაც. „ვილას" კი მეშვიდე ტურია არ მოუგია.

„ჩელსიმ" კი კიდევ ერთი ტრილერი გადაიხადა და კიდევ ერთხელ მოიგო ბოლო წუთზე. მაურინიუს ხალხი კომფორტულად იგებდა უიგანში, მაგრამ ემილ ჰესკის დუბლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და არიენ რობენმა, სეზონში პირველი გოლით, „ჩელსის" სამი ქულა გადაურჩინა. „შეწუხებული ვარ — თქვა მაურინიუმ — ეს უიოლესად მოსაგები თამაში იყო. ჩვენ კი მხოლოდ იმიტომ მოვიგეთ, რომ ბოლო ათ წუთში ყურები არ ჩამოვყარეთ. როცა ტერი გვაკლია, ყველა კარგად იყენებს. საერთოდ, ჩვენი თავისტკივილი ისაა, რომ ზედიზედ მესამედ გვინდა ჩემპიონობა".

„მანჩესტერი" კვლავ ორი ქულით უსწრებს „ჩელსის", ამათ კი მოსდევენ „ლივერპული", „არსენალი" და „ბოლტონი". ამათ სამივე მოიგეს, ისევე, როგორც, „პორტსმუთმა".

„ლივერპულმა" „უოტფორდს" მოუგო მძიმე ბრძოლაში და შინ 26 წაუგებელი თამაში ჩაიწერა. ასეთი წაუგებლობა კლუბს 1991 წლის, კენი დალგლიშის მენეჯერობის შემდეგ არ ჰქონია.

დღის კიდევ ერთი დუბლით ნიკოლას ანელკამ თავისი ყოფილი გუნდი „სიტი" შავ საცხრილო დღეში ჩააგდო, „ბოლტონს" კი სამი ქულა ჩაუწერა. თამაშის ბოლოს „სიტის" კვლავაც გაუძევეს მჩეხავი ჯოი ბარტონი, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ორ პრემიერლიგურ და ერთ სათასო თამაშს გამოტოვებს. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მსაჯმა მაიკ რაილიმ პოლ დიკოვს გოლი არ ჩაუთვალა.

„არსენალმა" კი ნამდვილი შოუ გამართა „ბლექბერნის" წინააღმდეგ და 6:2 მოიგო. ეს იყო პირველი დიდი შოუ ახალ „ემირატებზე", რომელსაც მეთოფენი თავიდანვე აგებდნენ შაბანი ნონდას სადავო პენალტით. თამაშში, რა თქმა უნდა, შემოტრიალდა, ბოლო სამი გოლი კი „არსენალმა" შეხვედრის ბოლო 6 წუთში გაიტანა. ბურთი ლამის ყველამ შეაგდო. რა თქმა უნდა, ადებაიორმა და რობინ ვან პერსიმაც.

„ორივე გუნდმა დიდებული ფეხბურთი აჩვენა — თქვა არსენ ვენგერმა, — თამაშის ბოლომდე ერთ ბურთს ძლივს ვიგებდით, ასე რომ, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა."

ხვალ კი ისევ ტურია, ბოქსინგ დეის თამაშები, ისევე როგორც 30 დეკემბერს და 1 იანვარს. ვინც ამ ერთ კვირას მაგრად გაივლის, წინაც ის იქნება.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დროგბა (ჩელსი) | 11 |
| კანუ (პორტსმუთი) | 9 |
| რუნი (მანჩესტერი) | 8 |
| საა (მანჩესტერი) | 8 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 8 |
| კ. დოილი (რედინგი) | 8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 19 | 15 | 2 | 2 | 41:10 | 47 |
| ჩელსი | 19 | 14 | 3 | 2 | 33:13 | 45 |
| ლივერპული | 19 | 10 | 4 | 5 | 28:15 | 34 |
| არსენალი | 19 | 9 | 6 | 4 | 35:17 | 33 |
| ბოლტონი | 19 | 10 | 3 | 6 | 22:15 | 33 |
| პორტსმუთი | 19 | 9 | 5 | 5 | 28:17 | 32 |
| ტოტენჰემი | 19 | 8 | 4 | 7 | 23:25 | 28 |
| ევერტონი | 19 | 7 | 6 | 6 | 24:20 | 27 |
| რედინგი | 19 | 8 | 2 | 9 | 20:25 | 26 |
| ასტონ ვილა | 19 | 5 | 10 | 4 | 21:21 | 25 |
| ნიუკასლი | 19 | 7 | 4 | 8 | 20:21 | 25 |
| ფულემი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:28 | 24 |
| უიგანი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:26 | 22 |
| მიდლსბრო | 19 | 5 | 5 | 9 | 17:24 | 20 |
| სიტი | 19 | 5 | 5 | 9 | 15:24 | 20 |
| შეფილდი | 19 | 5 | 5 | 9 | 15:25 | 20 |
| ბლექბერნი | 18 | 5 | 4 | 9 | 18:28 | 19 |
| ვესტ ჰემი | 19 | 5 | 3 | 11 | 11:24 | 18 |
| ჩარლტონი | 19 | 3 | 3 | 13 | 13:33 | 12 |
| უოტფორდი | 18 | 1 | 8 | 9 | 11:24 | 11 |

**XX ტური**

26 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ევერტონი | : | მიდლსბრო |
| მანჩესტერი | : | უიგანი |
| შეფილდი | : | სიტი |
| ტოტენჰემი | : | ასტონ ვილა |
| უოტფორდი | : | არსენალი |
| ვესტ ჰემი | : | პორტსმუთი |
| ბლექბერნი | : | ლივერპული |
| ბოლტონი | : | ნიუკასლი |
| ჩარლტონი | : | ფულემი |
| ჩელსი | : | რედინგი |

## ჩემპიონატი
### XXIV ტური

კრ. პალასი — სანდერლენდი 1:0; ლიდსი — ჰალი 0:0; ბარნლი — დერბი 0:0; იფსვიჩი — სტოკი 0:1; ლესტერი — კარდიფი 0:0; ლუთონი — ქოვენთრი 3:1; პლიმუთი — ვესტ ბრომვიჩი 2:2; პრესტონი — კოლჩესტერი 1:0; ქუინზ პარკი — ბარნსლი 1:0; უენსდი — საუთჰემპტონი 3:3; საუთენდი — ბირმინგემი 0:4; ვულვზი — ნორვიჩი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 24 | 15 | 4 | 5 | 42:22 | 49 |
| პრესტონი | 24 | 12 | 8 | 4 | 36:22 | 44 |
| დერბი | 24 | 13 | 5 | 6 | 33:25 | 44 |
| სტოკი | 24 | 11 | 7 | 6 | 31:18 | 40 |
| საუთჰემპტონი | 24 | 11 | 7 | 6 | 40:30 | 40 |
| კარდიფი | 24 | 10 | 8 | 6 | 33:26 | 38 |
| ვესტ ბრომვიჩი | 24 | 10 | 7 | 7 | 41:26 | 37 |
| კოლჩესტერი | 24 | 11 | 4 | 9 | 39:27 | 37 |
| ბარნლი | 24 | 10 | 7 | 7 | 32:25 | 37 |
| ვულვზი | 24 | 10 | 6 | 8 | 23:27 | 36 |
| სანდერლენდი | 24 | 10 | 4 | 10 | 32:31 | 34 |
| პლიმუთი | 24 | 8 | 10 | 6 | 30:30 | 34 |
| უენსდი | 24 | 9 | 7 | 8 | 32:34 | 34 |
| ქოვენთრი | 24 | 10 | 3 | 11 | 22:26 | 33 |
| ნორვიჩი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:39 | 30 |
| იფსვიჩი | 24 | 8 | 5 | 11 | 34:34 | 29 |
| კრ. პალასი | 24 | 8 | 5 | 11 | 27:30 | 29 |
| ლესტერი | 24 | 7 | 8 | 9 | 24:28 | 29 |
| ლუთონი | 24 | 8 | 5 | 11 | 32:39 | 29 |
| ქუინზ პარკი | 24 | 7 | 6 | 11 | 32:38 | 27 |
| ბარნსლი | 24 | 6 | 5 | 13 | 28:42 | 23 |
| ლიდსი | 24 | 6 | 4 | 14 | 24:42 | 22 |
| ჰალი | 24 | 5 | 6 | 13 | 22:35 | 21 |
| საუთენდი | 24 | 3 | 7 | 14 | 18:43 | 16 |

## პირველი ლიგა
### XXIII ტური

მილუოლი — სკანთორპი 0:1; ბორნმუთი — ბლეკპული 1:3; კარლაილი — ბრენტფორდი 2:0; ჩელტენემი — ბრისტოლი 2:2; ჩესტერფილდი — ჰადერსფილდი 0:0; დონკასტერი — ნოტინგემი 1:0; ლეიტონი — ქრიუ 1:1; ოლდემი — ნორთჰემპტონი 3:0; პორტ ვეილი — ბრაიტონი 2:1; სუონსი — როტერჰემი 1:1; ტრანმერი — ჯილინგემი 2:3; იოვილი — ბრედფორდი 0:0

## მეორე ლიგა
### XXIII ტური

გრიმსბი — ტორკი 2:0; ნოტსი — ჰერეფორდი 0:1; შრიუსბერი — ბარნეტი 0:1; ბოსტონი — უოლსოლი 1:1; როვერსი — აკრინგტონი 4:0; ბერი — ჰარტლპული 0:1; მაკლსფილდი — სუინდონი 2:1; დონსი — როჩდეილი 2:1; პიტერბრო — ლინკოლნი 1:2; რექსემი — დარლინგტონი 1:0; უიკომბი — სტოკპორტი 2:0. *მენსფილდი — ჩესტერი გადაიდო*

## კონფერენსლიგა
### გადადებული მატჩი

იორკი 2:0 ჰალიფაქსი

# იტალია

## სერია A XVIII ტური

### უდინეზე 0:3 მილანი

0:1 კაკა (31პ), 0:2 ჯილარდინო (34), 0:3 ოლივეირა (76)
უდინეზე: დე სანქტისი, კოდა, დოსენა, საპატა, დ. ძენონი, ობოდო, პინცი, ერიომენკო (სიკეირა 46), დი ნატალე, იაკინტა, პ. ბარეტო (ტიბონი 90)
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
მილანი: კალაჩი, კაფუ, შიმიჩი, პალაძე (რ. ოლივეირა 69), იანკულოვსკი, გატუზო, ბროკი, პირლო, ზეედორფი (ანტონელი 86), კაკა (გურკუფი 52), ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ერიომენკო, პინცი, ზეედორფი, გატუზო
მსაჯი: რიცოლი
20 000 მაყურებელი

### ინტერი 2:1 ატალანტა

0:1 დონი (16), 1:1 ადრიანო (65), 2:1 ლორია (75ს.კ.)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, ანდრეოლი, ბურდისო, მაქსველი, ხ. ძანეტი, ვიეირა, კამბიასო (ფიგუ 46), სტანკოვიჩი, კრესპო (სოლარი 90), რეკობა (ადრიანო 8)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ატალანტა: კალდერონი, ბელინი, კაროციერი, ლორია, რივალტა, არიატი, დონატი, ფერეირა (ვენტოლა 79), კ. დონი (ტისონე 72), მილიაჩო (ბერნარდინი 56), ძამპანა
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: ვიეირა, დონატი, კრესპო, კაროციერი, არიატი, ძამპანა
მსაჯი: ბერტინი
43 000 მაყურებელი

### რომა 2:0 კალიარი

1:0 ტადეი (5), 2:0 მანსინი (55)
რომა: ა. დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, როზი, ტადეი (ოკაკა ჩუკა 90), მანსინი (ვირგა 88), ტოტი (მონტელა 76)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
კალიარი: ფორტინი, აგოსტინი (ფერი 76), ბიანკო, ბიზერა, დელ გროსო (ლანჯელა 51), ფ. პიზანო, ბიონდინი (კონტი 51), ბუდელი, მ. ესპოზიტო, პეპე, სუაცო
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: პიზანო, ბიონდინი, მექსეში
მსაჯი: ტალიავენტო
35 000 მაყურებელი

### სიენა 1:1 პალერმო

0:1 სიმპლისიო (40), 1:1 მოლინარო (41)
სიენა: მანინგერი, ბერტოტო, მოლინარო, პორტანოვა, რინაუდო, ანტონინი, ბრევი (კონკო 73), კოდრია, ლოკატელი, ბოგდანი (კორვია 63), ფრიკი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
პალერმო: ა. ფონტანა (ალიარდი 66), ძაკარდო, ბარძალი, ბიავა, მ. პიზანო, კასანი, კორინი, სიმპლისიო, გუანა, დი მიკელე (ბრეშიანო 81), ამაური (ბრიენცა 28)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ბოგდანი, კორვია, კორინი
მსაჯი: ფარინა
7 000 მაყურებელი

### პარმა 1:3 ლაციო

1:0 ბუდანი (19), 1:1 სტენდარდო (30), 1:2 პანდევი (34), 1:3 როკი (45)
პარმა: ბუჩი, ფერონეტი, ფ. კოუტუ (მ. როსი 55), პ. კასტელინი, პაჩი, ჩიგარინი, კიარამიტარო (კუტუზოვი 46), დესენა, გასბარონი, დედიჩი (პაპონი 46), ბუდანი
მწვრთნელი: სტეფანო პიოლი
ლაციო: ბალოტა, სტენდარდო, კრიბარი, სივილია, ძაური, ბეჰრამი (ბელერი 65), ლედესმა, მუტარელი, მაური, პანდევი (მაკინვა 80), როკი (კ. მანფრედინი 72)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ჩიგარინი, დედიჩი, ბეჰრამი, პაჩი
გაძევება: სივილია (16)
მსაჯი: საკანი
15 000 მაყურებელი

### კატანია 4:2 სამპდორია

1:0 სპინეზი (6), 1:1 პალომბო (22), 2:1 კაზერტა (36), 2:2 ფრანჩესკინი (40), 3:2, 4:2 სპინეზი (45პ, 88)
კატანია: პანტანელი, კ. სილვესტრი, სოტილი, სტოვინი, ვარგასი, ბაიოკო, კაზერტა, ჯ. კოლუჩი (იზკო 74), ედუსეი, მასკარა (ლუჩენტი 90), სპინეზი (კორონა 90)
მწვრთნელი: პასკუალე მარინო

# ლორიამ ინტერი რომას გაუტოლა


AFP მილანიდან

სამპდორია: კასტელაცი, კ. ძენონი, აკარდი, ფალკონე (ბასტრინი 90), მაჯო, ჯ. დელვეკიო (სოდიმო 66), დ. ფრანჩესკინი, პალომბო, ვოლპი, ბონაცოლი (ფლაკი 54), ბაცანი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: აკარდი, მასკარა, ედუსეი, ფრანჩესკინი
მსაჯი: მაცოლენი
17 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 4:0 მესინა

1:0 ტონი (17), 2:0 პოტენცა (22), 3:0 ლივერანი (45), 4:0 მუტუ (51)
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, პოტენცა, პასკუალი, იორგენსენი (რეგინალდო 80), დონადელი, ლივერანი, მონტოლივო, ტონი (პაცინი 75), მუტუ (სანტანა 71)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
მესინა: სტორარი, ძანკი, იულიანო, რეა, ზორო კპოლო, კ. კოპოლა, დე ვეცე, მაზიელო (მინეტი 82), ოგასავარა (ე. ალვარესი 29), დი ნაპოლი, ფლოჩარი (მორელო 46)
მწვრთნელი: ბრუნო ჯორდანო
გაფრთხილება: მუტუ, ზორო კპოლო, მონტოლივო, ზორო კპოლო
გაძევება: ზორო კპოლო (45)
მსაჯი: ბერგონცი
30 000 მაყურებელი

### ლივორნო 1:1 ტორინო

0:1 კოფი (24), 1:1 ლუკარელი (61)
ლივორნო: ამელია, კნეჟევიჩი, გრანდონი, კუფური, პასკუალე, ბეტანინი (დანილევიჩუსი 81), მორონე, პასონი, ა. ფილიპინი, ვიჯანი, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
ტორინო: აბიატი, კომოტო, ბრევი, კოფი, ბალესტრი, დი ლორეტო, არდიტო, ბარონე, ლაზეტიჩი (ფიორე 73), როზინა (გალო 80), სტელონე (მუცი 62)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: პასონი, ბარონე, არდიტო, კოფი, ფილიპინი, კუფური, კომოტო, ბარონე
გაძევება: ბარონე (77)
მსაჯი: ჯერვასონი
8 000 მაყურებელი

### ასკოლი 3:0 კიევო

1:0 პაოლუჩი (8), 2:0, 3:0 ბიელანოვიჩი (13, 37)
ასკოლი: პალიუკა, კუდინი, მინიერი, ნასტაზე (ბოკეტი 60), ვასტოლა, ფინი, მ. ფონტანა, ბუდიანსკი, პაოლუჩი, პერული (გუბერტი 80), ბიელანოვიჩი (გალოპა 46)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
კიევო: სიჩინიანო, მალაგო, მანდელი, დანა, ლანა, ბრიგი (კოსოვსკი 46), სამარკო, ძანკეტა, სემიოლი (ტირიბოკი 58), კოსატო (პელისიერი 34), ობინია
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: მანდელი, სამარკო, მინიერი, კუდინი, ბუდიანსკი
გაძევება: ობინია (40), ლანა (89)
მსაჯი: დე მარკო
7 000 მაყურებელი

### რეჯინა 4:1 ემპოლი

1:0 ლეონი (3), 2:0, 3:0 ამორუზო (8, 27), 4:0 ბიანკი (44), 4:1 საუდატი (68პ)
რეჯინა: პელიცოლი, არონიკა, ლანძარო, ა. ლუკარელი, მოდესტო (ბარილია 85), მესტო, ჯაკომო ტედესკო, ტონოცი (კარობიო 58), ლეონი (ესტევესი 49), ამორუზო, ბიანკი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
ემპოლი: ბალი, ადანი (მატეინი 82), მარცორატი (ტოსტო 22), პრატალი, რაჯი, ალმირონი, ბუშე, ფ. მორო, მარიანინი (საუდატი 46), ვანუკი, გასპარეტო
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: ტონოცი, მარიანინი, მორო, ესტევესი, კარობიო
მსაჯი: ტრეფოლონი
9 000 მაყურებელი

**კარის უკნიდან,** იმ ტრიბუნიდან, რომელზეც ბერგამოელი ქომაგები ისხდნენ, მოედანს შუშხუნები დააყარეს. ისროლეს სანთებლებიც, „ინტერის“ მეკარე ჟულიო სეზარი ერთიხანობა მოედნის ცენტრისკენაც კი გაიქცა, რათა მისკენ გამოფრენილი საგნებისგან თავი დაეღწია, მაგრამ ალიაქოთი დიდხანს არ გაგრძელებულა, „ატალანტას“ ფეხბურთელებმა თავის მხარდამჭერებს ქვემოდან რალაცები უთხრეს და დააშოშმინეს. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც ქართული ძლერადობის გვარის მქონე სიმონე ლორიამ ლუიშ ფიგუს ჩაწოდებული ბურთი თავით საკუთარ კარში შეაგდო და ანგარიში „ინტერის“ სასარგებლოდ 2:1 გახდა — თავიდან, 65 წუთის განმავლობაში სტუმრები იგებდნენ 1:0-ს.

ასე და ამგვარად „ინტერმა“ სერია A-ში ზედიზედ მე-11 გამარჯვება მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულიადიტალიური რეკორდი მხოლოდ „რომას“ აღარ ეკუთვნის და პლუს, „შავ-ლურჯებს“ შემდეგ ტურში ამ შედეგის გაუმჯობესება ანუ ახალი რეკორდის დამყარება შეუძლიათ. ამ შეხვედრაში მნიშვნელოვანი კიდევ ის მოხდა, რომ ცხრათვიანი „ფეხმძიმობის“ შემდეგ ადრიანომ გოლი შვა — ბრაზილიელ ფორვარდს ბოლოს 29 მარტს „ვილიარეალის“ კარში ჰქონდა გოლი გატანილი.

„ძნელი მატჩი გამოვიდა. ადრიანოს გოლი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო და ვიმედოვნებ, რომ ის თავად ადრიანოსაც ფრიად დაეხმარება. მატჩის ბედი კი მოედანზე ლუიშ ფიგუს შესვლამ გადაწყვიტა. მის შეყვანას ისედაც ვაპირებდი, მინდოდა ესტებან კამბიასოს ნაცვლად ეთამაშა და თამაში უფრო ფლანგზე გადაეტანა, მაგრამ ამ დროს კამბიასომ ფეხიც იტკინა და ისედაც გამოსაცვლელი გახდა“ — თქვა მატჩის შემდეგ „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ.

„რომამ“ 2006 წელი წარმატებით დაამთავრა — „კალიარის“ იოლად აჯობა და თან პირველი გოლი მაკრატელა დარტყმით შეაგდო, ეს როდრიგო ტადეიმ შეძლო. „წითელ-ყვითლები“ ჩინებულ ფორმაში იყვნენ და მართალია, მატეო ფერარი და სიმონე პეროტა არ ჰყავდათ, კრისტიან პანუჩი დაიბრუნეს.

ლუჩანო სპალეტი, „რომას“ მწვრთნელი: „ღია და მოულოდნელობებით აღსავსე თამაში იყო, ასე რომ, მისი ბედი მხოლოდ და მხოლოდ მეორე გოლმა განსაზღვრა. კიდევ, ჩვენს გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი ფილიპ მექსეშმა და კრისტიან კივუმ ითამაშეს. მათ დავიდ სუაცოს განძრევის საშუალება არ მისცეს“.

მეორე გოლი, რომელიც რომაელთა თავკაცმა ასე განსაკუთრებით გამოყო, ამანტინო მანსინიმ კარგი კომბინაციის ბოლოს გაიტანა.

„პალერმო“ კი მართალია, მესამე ადგილზეა, მაგრამ სტაბილურად ვერ თამაშობს, რისი დასტურიც „სიენასთან“ ნათამაშები მატჩი გახლდათ — სიენელებს ოქტომბრის შემდეგ თამაში არ მოეგოთ და წესით მათი ძლევა მართლა ძლიერი გუნდისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა, რომ მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე პალერმოელთაგან ფეხბურთელი, ეუჯენიო კორინი მივიდა. მან ასე თქვა: „ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში თამაში გვინდა და თუ შესაბამის ადგილზე გავედით, ბედნიერები ვიქნებით. ჩვენს მწვრთნელს, ფრანჩესკო გვიდოლინს დრო სჭირდება“.

„მილანმა“ კი უდინეში გაიმარჯვა, ოღონდ, სამწუხაროდ ეს გამარჯვება კახა კალაძის ტრავმად დაჯდა — კალაძე მოედნიდან რომ გავიდა, ანჩელოტიმ დაცვის შუაში ანდრეა პირლო დაწია... ეს თამაშის დამთავრებამდე 21 წუთით ადრე მოხდა.

„კატანიას“ მეოთხე ადგილზე რა უნდა ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ იქ არის და თან „სამპდორიას“ 4:2 მოუგო. სიცილიელთაგან (ალბათ, როგორ უხარიათ სიცილიაზე, საშობაოდ სერია A-ს მესამე და მეოთხე გუნდი მათი კუნძულიდან რომ არის) სამი გოლი ჯონათან სპინეზიმ გაიტანა.

ხოლო „ლაციომ“ მართალია, 16 წუთის შემდეგ კაცნაკლულმა ითამაშა, მაგრამ ჩამორჩენაც გამოასწორა და 3:1 მოიგო კიდეც. რომაელებს სებასტიანო სივილია ბოლო იმედის ჯარიმისთვის გაუგდეს მოედნიდან.

**პაპუნა ძიძია**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 12 |
| სპინეზი (კატანია) | 11 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 10 |
| რიგანო (მესინა) | 10 |
| კალიარელა (სამპდორია) | 9 |
| ბიანკი (რეჯინა) | 9 |
| ტონი (ფიორენტინა) | 9 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 18 | 15 | 3 | 0 | 38:15 | 48 |
| რომა | 18 | 13 | 2 | 3 | 40:15 | 41 |
| პალერმო | 18 | 11 | 2 | 5 | 35:23 | 35 |
| კატანია | 17 | 7 | 5 | 5 | 25:31 | 26 |
| ლაციო | 18 | 8 | 4 | 6 | 29:17 | 25 |
| სამპდორია | 18 | 6 | 5 | 7 | 28:26 | 23 |
| უდინეზე | 18 | 6 | 5 | 7 | 19:21 | 23 |
| ემპოლი | 17 | 5 | 7 | 5 | 14:17 | 22 |
| ლივორნო | 18 | 5 | 7 | 6 | 18:24 | 22 |
| ტორინო | 18 | 5 | 7 | 6 | 14:20 | 22 |
| ატალანტა | 18 | 5 | 6 | 7 | 27:29 | 21 |
| მილანი | 18 | 7 | 7 | 4 | 22:16 | 20 |
| სიენა | 18 | 4 | 9 | 5 | 15:19 | 20 |
| ფიორენტინა | 18 | 10 | 3 | 5 | 30:17 | 18 |
| კალიარი | 18 | 2 | 10 | 6 | 14:21 | 16 |
| მესინა | 18 | 3 | 6 | 9 | 19:32 | 15 |
| კიევო | 18 | 3 | 5 | 10 | 18:27 | 14 |
| რეჯინა | 18 | 6 | 5 | 7 | 23:25 | 12 |
| პარმა | 18 | 2 | 6 | 10 | 16:33 | 12 |
| ასკოლი | 18 | 1 | 6 | 11 | 13:29 | 9 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

**XIX ტური**

13-14 იანვარი, 2007 წელი

| | | |
|---|---|---|
| კალიარი | : | ასკოლი |
| ატალანტა | : | ლივორნო |
| კიევო | : | კატანია |
| ლაციო | : | სიენა |
| ემპოლი | : | პარმა |
| მილანი | : | რეჯინა |
| მესინა | : | რომა |
| სამპდორია | : | ფიორენტინა |
| პალერმო | : | უდინეზე |
| ტორინო | : | ინტერი |

## სერია B

### XVIII ტური

ალბინოლეფე — პესკარა 0:0; ბრეშა — ბოლონია 1:1; ჯენოა — ბარი 0:0; ლეჩე — ვიჩენცა 1:2; მოდენა — ნაპოლი 0:0; პიაჩენცა — ჩეზენა 4:0; რიმინი — სპეცია 2:1; ტრევიზო — ფროზინონე 3:0; ვერონა — მანტოვა 0:3. კროტონე — ტრიესტინა გადაიდო

### იუვენტუსი 2:2 არეცო

1:0 ტრეზეგე (58), 2:0 პალადინო (65), 2:1, 2:2 მარტინეტი (80პ, 83)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ბუმსონგი, ბალძარეტი, კიელინი, პარო, კ. ძანეტი (მარკიზიო 67), პალადინო, დელ პიერო, ტრეზეგე, ზალაიეტა
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
მსაჯი: ჩელი
25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რიმინი | 18 | 9 | 6 | 3 | 31:15 | 33 |
| პიაჩენცა | 18 | 10 | 3 | 5 | 21:16 | 33 |
| იუვენტუსი | 17 | 12 | 5 | 0 | 30:8 | 32 |
| ნაპოლი | 18 | 8 | 8 | 2 | 19:11 | 32 |
| ბოლონია | 18 | 10 | 2 | 6 | 24:17 | 32 |
| ჯენოა | 18 | 9 | 5 | 4 | 30:23 | 32 |
| მანტოვა | 18 | 7 | 9 | 2 | 20:12 | 30 |
| ბარი | 18 | 7 | 6 | 5 | 18:12 | 27 |
| ალბინოლეფე | 18 | 5 | 12 | 1 | 18:14 | 27 |
| ჩეზენა | 17 | 6 | 7 | 4 | 26:25 | 25 |
| ფროზინონე | 18 | 7 | 4 | 7 | 21:22 | 25 |
| ტრიესტინა | 17 | 6 | 6 | 5 | 13:15 | 23 |
| ბრეშა | 18 | 5 | 7 | 6 | 17:20 | 22 |
| ლეჩე | 18 | 6 | 2 | 10 | 24:30 | 20 |
| ტრევიზო | 18 | 4 | 7 | 7 | 20:23 | 19 |
| სპეცია | 18 | 4 | 7 | 7 | 17:22 | 19 |
| მოდენა | 18 | 5 | 4 | 9 | 11:18 | 19 |
| კროტონე | 17 | 3 | 7 | 7 | 15:24 | 16 |
| ვიჩენცა | 18 | 3 | 6 | 9 | 16:20 | 15 |
| ვერონა | 18 | 2 | 5 | 11 | 6:19 | 11 |
| არეცო | 18 | 2 | 7 | 9 | 9:19 | 7 |
| პესკარა | 18 | 0 | 7 | 11 | 12:33 | 6 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## სერია C1/A

### XVII ტური

ლუკეზე — პისტოიეზე 1:0; ჩიტადელა — კრემონეზე 2:1; გროსეტო — პადოვა 3:1; მასეზე — ივრეა 2:0; ნოვარა — პრო პატრია 1:0; პიზა — ვენეცია 0:0; პიციგეტონე — მონცა 0:0; პრო სესტო — პავია 2:0; სასუოლო — სანჯოვანეზე 0:1

## სერია C1/B

### XVII ტური

ანკონა — სან მარინო 2:4; აველინო — ტარანტო 2:1; ფოჯა — რავენა 1:1; გალიპოლი — სამბენედეტეზე 1:2; იუვე სტაბია — ლანჩანო 0:0; მარტინა — მანფრედონია 2:1; პერუჯა — ჯულიანოვა 1:0; ტერამო — ტერნანა 2:0. სალერნიტანა — კავეზე გადაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯილდოზე უფრო დიდი შვილი

## რობერტო კარლოსი: ვინ გამაგდებს მადრიდიდან?



**რობერტო კარლოსი ბუნებით ოპტიმისტია. ბრაზილიელს სჯერა, რომ ფაბიო კაპელო „რეალს" წარმატებებს მოუტანს და სამეფო თეთრებიც მომავალ წელს დიდ გამარჯვებებს იზეიმებენ. სულ მალე ჩვენი სამსეზონიანი გვალვა დამთავრდება და ნახეთ, რა ჯილდოების წვიმაც წამოვიდესო, უთხრა რობერტომ მადრიდული „ასის" ჟურნალისტებს და 2007 წლის ტრიუმფატორმა „რეალის" დასალოცად მედიის თვალწინ შამპანურიც „ააფეთქა"...**

— 2006 წლის ბოლოს „რეალი" საკმაოდ ცუდად ხვდება, „უელვასთან" რა დაგემართათ?

— ეს საწყენი შემთხვევითობა იყო, რაც აღარ განმეორდება. წაგებას ვერაფრით ვხსნი. გულშემატკივრებს პატიებას ვთხოვ. როცა არდადეგების შემდეგ ფეხბურთს დავუბრუნდებით, ყველაფერი სხვანაირად იქნება. თუ პრიმერადივიზიონის მოგება გვინდა, ამის შემდეგ სახლში მსგავსი ფიასკოები უნდა გამოვრიცხოთ. მომავალ მეტოქედ „დეპორტივო" გვყავს და 2007 წლის გამარჯვებით დაწყება საჭიროა.

**— ბოლო წლებში არდადეგებისწინა მატჩებს ყოველთვის აგებთ. ამ დროს კონცენტრაციას ვერ ახერხებთ?**

— „უელვასთან" მოედანზე მოსაგებად შევედით, მაგრამ მერე რა დაგვემართა არ ვიცი. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ინჩადას ვაწყენინეთ... თუმცა ეს არასდროს არ უნდა განმეორდეს.

**— „ხეტაფე", „უელვა"... ფანები „ბერნაბეუზე" „რეალისგან" უსიამოვნო სურპრიზებს კიდევ უნდა ელოდნენ?**

— რა თქმა უნდა, არა. „სანტიაგო ბერნაბეუზე" მეტი მატჩი არ უნდა წავაგოთ, მორჩა და გათავდა.

**— წლის შედეგები შევაჯამოთ. „რეალმა" ტიტული კვლავ ვერ მოიგო, ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი ვერ მოიგო, თუმცა თქვენ მადრიდულ გუნდთან კონტრაქტი კიდევ ორი სეზონით გაანახლეთ. 2006 წლის შესახებ რას გვეტყვით?**

— კარგს ბევრს ვერაფერს. ჩემთვის სპორტული თვალსაზრისით დიდი წარმატებების მომტანი არ ყოფილა. რაღაც გამონათებები მქონდა, თუმცა სიძნელეები უფრო მეტი იყო, განსაკუთრებით მუნდიალზე. ნამდვილად ვერ წარმომედგინა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვლენები ასე განვითარდებოდა. გერმანიაში კარგად ვერ ვითამაშე და ნაკრებთან ჩემი დამშვიდობებაც უსახური იყო. თუმც ბედნიერი ვარ, რომ ყოველთვის დიდ გუნდებში, ბრწყინვალე ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობდი. მუნდიალზე მაკრიტიკებდნენ, მაგრამ ეს რობერტო კარლოსის დასასრულს ჯერ არ ნიშნავს. „რეალი" კი სხვა საქმეა, აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ, გაცილებით უკეთესად, ვიდრე ძველ დროს.

**— თქვენს პირად ცხოვრებაში კი ყველაფერი მშვენივრადაა, სულ მალე კიდევ ერთი პატარას მამა გახდებით. ახლა შვილებთან ერთად სან პაულუში ცხოვრობთ...**

— რაღაც დავკარგე, მაგრამ გაცილებით მეტი მოვიგე. დავკარგე ტიტულები და პრესისა თუ გულშემატკივართა მხრიდან ქება-დიდება, სამაგიეროდ, შვილი ჩემთვის ნებისმიერ ჯილდოზე უკეთესია. ლუკას დაბადებას აპრილში ველოდებით და მეც მაშინ თავს დედამიწის ზურგზე უბედნიერეს კაცად ვიგრძნობ.

**— სპორტული თვალსაზრისით საუკეთესო ფორმას მიუახლოვდით. „უელვასთან" მატჩის გარდა ბოლო რამდენიმე შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეთ...**

— თქვენ ასე ფიქრობთ?

**— ამას სტატისტიკა და თქვენს მიერ ჩატარებული მატჩები მოწმობენ...**

— ძალიან ამაყი ვარ, როცა მადრიდის „რეალის" ფორმით გამართულ მატჩებს და მიღწეულ ჯილდოებს ვიხსენებ. აღფრთოვანებული ვარ იმ პატივისცემითა და გულითადობით, რომელსაც ინჩასები ჩემს მიმართ ამჟღავნებენ.

**— თუ ხვდებით, რომ „რეალში" თქვენი მიღწევების დაჩრდილვა სამომავლოდ ნებისმიერ უცხოელ ლეგიონერს უკიდურესად გაუჭირდება? ან შეიძლება პირდაპირ ვთქვათ — ამას ვერავინ შეძლებს...**

— ეს მადრიდის „რეალია", მეგობარო, შეუძლებელია, რომ „ბერნაბეუზე" მომავალში ბრწყინვალე ფეხბურთელები აღარ მოვიდნენ. თუ თქვენ ამ აზრს არ ეთანხმებით? ერთ მშვენიერ დღეს რობერტო კარლოსი წავა, თუმცა სხვა უცხოელიც მოვა, მასზე უკეთესი.

**— მაგრამ იმდენს მაინც ვერ ითამაშებს, რამდენ ხანსაც თქვენ „ბერნაბეუზე" დარჩით...**

— რასაკვირველია, ძალიან ძნელია, რომ გამოჩნდეს სხვა ფეხბურთელი, სხვა მარცხენა მცველი, ვინც იმდენ ჯილდოს მოიპოვებს, რაც წილად მე მერგო. თუმცა წასვლა ჯერ მაინც არ მინდა, წინ კიდევ ორი სეზონია. „რეალთან" ახალი კონტრაქტი რამდენიმე დღის წინ გავაფორმე. თუ ეს ფაქტი აღარ გახსოვთ? ასე რომ, წინ, ახალი ჯილდოებისთვის!

**— როდესაც მადრიდში მილანის „ინტერიდან" მოხვედით, წარმოიდგენდით, რომ „რეალში" ათ წელზე მეტს გაატარებდით?**

— გულწრფელად რომ გითხრათ, ეს ამბავი ნამდვილად ვერ წარმომიდგენია. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ — როცა თავიდან მოვედი „ბერნაბეუზე" ვიფიქრე, აქ ალბათ მარტო ერთ წელიწადს ვითამაშებ და შემდეგ სხვა გუნდის ძებნა მომიწევს-მეთქი. ახლა კი ნახეთ, რა ხდება. „რეალიდან" ჯერ ვერ „გამაგდებთ", მადრიდში ყოფნის ლიმიტი 14 წლამდე უნდა ავწიო. უარეს შემთხვევაში თორმეტამდე...

**— ახალ 2007 წელს გარდა მატჩების მოგებისა და „რეალის" შესაფერს დონეზე ბურთაობისა, სხვას რა სთხოვთ?**

— ტიტულებს და მხიარულად, ბედნიერად ბურთაობას — სხვა არაფერს. ღმერთმა თავისი კალთა თავზე დამაბერტყა, ყველაფერი მაქვს — ოჯახი, სამუშაო, მეგობრები... წესით, მე უფრო მადლობებს უნდა ვამბობდე, ვიდრე ახალ რამეებს ვითხოვდე. ჭეშმარიტად, ღმერთს მართლა მადლობას ვწირავ, რომ ცხოვრებაში უბედნიერესი წუთები გამოვცადე და ფეხბურთშიც უამრავი რამ ვისწავლე.

**— შორიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ფეხბურთის თამაშით სულ ბედნიერი ხართ და არაფერი გაწუხებთ...**

— ეს თითქმის სიმართლეა. თითქმის იმიტომ ვთქვი, რომ ძნელი დღეებიც მქონდა, ჩემი ნდობის ბოროტად გამოყენებას აპირებდნენ... ეს ესპანურ პრესას არ ეხება, ცუდად ბრაზილიაში მომეპყრნენ და ამის გამო ვწუხვარ. ესპანეთში კი ხალხს ვუყვარვარ, რასაც ვამჩნევ და ვაფასებ.

**— ხართ ფეხბურთელი, რომელსაც ნებისმიერი ჩვენგანი ვახშმად ოჯახში სიამოვნებით დაპატიჟებდა...**

— ესეც მშვენივრად ვიცი. ცხოვრების ძნელ პერიოდებში მძაფრი კრიტიკის ატანა მიწევს, თუმცა როცა საქმეები კარგად მიდის, უნდა ნახოთ, ხალხი ქუჩაში ან რესტორანში რა მეგობრულად მხვდება, საოცრად გულთბილად მესალმებიან და არც ის დავიწყებიათ, „რეალთან" ერთად სამი ჩემპიონთა ლიგა რომ მოვიგე. ყველა მეკითხება, მომდევნო ჩემპიონთა თასს როდის ვიზეიმებთ.

**— ჰო, მართლა საჩემპიონთალიგო მორიგი ფიესტა როდის იქნება?**

— მალე, 2007 წელს.

**— ძალიან გინდათ ლიგის მოგება?**

— დიახ. დიდ სიამოვნებას მანიჭებს მსგავსი ტურნირების მოგება. ყველაზე მეტად მუნდიალზე და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება მიყვარს. მე 24 საათი ფეხბურთზე ვფიქრობ, ჩემი მეგობრებიც ასევე და შეუძლებელია, გამარჯვებებს არ დავუბრუნდეთ.

**— კაპელოზე ვისაუბროთ. „ბერნაბეუზე" მისი პირველად მოსვლის შემდეგ, ანუ 10 წლის განმავლობაში იტალიელი ძალიან შეიცვალა?**

— არა. ის იგივეა და მუდამ კაპელოდ დარჩება. დღეს, რა თქმა უნდა, უფრო ასაკოვანია, მაგრამ სხვა მხრივ კაპელოში ცვლილებებს ვერ ვამჩნევ. კლუბის თავკაცად კაპელოსნაირი დამრიგებლის მოყვანა ცხოვრებისეული კონტრაქტის გაფორმების ტოლფასია. ამ კაცს რისი გაკეთებაც შეუძლია, შესანიშნავად ვიცი. ფაბიო კაპელო არც საფეხბურთო სპექტაკლებს გვპირდება და საერთოდ არაფრის აღთქმა არ უყვარს, თუმცა ის დიდი პიროვნებაა, რომელიც მიზანს საოცარი ნიჭის და შეუპოვარი შრომის ფასად აღწევს. მწვრთნელია, რომელმაც სადაც იმუშავა, ყველა გუნდს ჯილდოები მოუტანა.

**— თქვენს მწვრთნელს მართლაც შთამბეჭდავად აქებთ!**

— კაპლოზე საუბრისას საშინელი „მლიქვნელი" ვარ... ეს ხუმრობით, თორემ რაც გითხარით, ყველაფერი სიმართლეა. კაპელოს მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ და ის რაღაცას აუცილებლად მოგვაგებინებს. გეტყვით, რომ ჩემი „რეალში" დარჩენა ძირითადად ჩემი დღევანდელი მწვრთნელის დამსახურებაა. მან მომიყვანა ამ კლუბში. „რეალის" ძველ პრეზიდენტ ლორენცო სანსს ურჩია, „ინტერიდან" რობერტო კარლოსი ეყიდა. მოკლედ, მამასავით მყავს . დღეს როცა გასახდელში შემოდის, გულთბილად მესალმება გამორჩეულად მეპყრობა და მეკითხება, რაიმე ხომ არ მჭირდება. ვარჯიშებზე შვილივით მიკრავს, ამდენი ხნის მეგობრობას დაფასება სჭირდება.

**— კაპელომაც მადლობა უნდა გითხრათ, რასაც მწვრთნელი ითხოვდა, რობერტო კარლოსმა ვარჯიშებზე და მატჩების დროს ასპროცენტიანად, პირნათლად გააკეთა...**

— კაპელოს უარს ვერასდროს ეტყვი, რადგანაც ყოველთვის შენს მხარესაა, გეხმარება და საკუთარ სიძლიერეში გარწმუნებს. ათი წლის წინაც ბევრი რამ ვისწავლე მისგან და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. თუ „რეალის" წვრთნას და თამაშებს დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ როგორ შეიცვალა გუნდის მენტალიტეტი კაპელოს მოსვლის შემდეგ.

**— ბრაზილიელთა კლანზე რას გვეტყვით? მართლა არსებობს „რეალში" „ბრაზილიური მაფია"?**

— მე ესპანელი ვარ... ხომ მაგარია? ისე კი მეგობრები ვართ, ერთი გუნდის წევრები და „კომპანიროები" რომ არ ვიყოთ, ყველას გაუკვირდება. ჩვენ ეკონომიკურად ღარიბი ქვეყნიდან მოვედით, ბრაზილიიდან, სადაც მცხოვრებთა მენტალიტეტი აქაურისგან ძალიან განსხვავდება. მადრიდში ჩვენი სამყაროს შექმნის მცდელობას ვაღიარებ, აბა სხვა რა უნდა გვექნა... ჩვენ, ბრაზილიელები გულწრფელი ხალხი ვართ, არავის ვატყუებთ და ერთმანეთთან ვძმაკაცობთ, გვაპატიეთ — სხვანაირად არ შეგვეძლო.

**— კაპელო რონალდოს საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენინებს?**

— ამაში დარწმუნებული იყავით. რატომ აკრიტიკებენ რონის? იმიტომ, რომ მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია, ხოლო დღევანდელ ფეხბურთში ამ მწვერვალზე გაჩერება ძნელია და ლიდი თუ პატარა მის ფეხის მოცურებას ელოდება. კაპელოსთან ერთად ახალ რონალდოს ნახავთ.

**— რონის თქვენი უნდა შურდეს. რობერტოს სამი ჩემპიონთა თასი აქვს, ხოლო რონალდოს არც ერთი...**

— ჰოო... კი მოიგებს ეს რონალდო თავის პირველ თასს, მაგრამ მე უკვე მეოთხე მექნება. ასე რომ, რონის ჩემთან შანსი არა აქვს.

**— თასის მოგება, ცხადია, ორივეს გინდათ, მაგრამ საინტერესოა, ლიგის მერვედფინალში თქვენი მეტოქე მიუნხენის „ბაიერნი" ამის შესახებ რას ფიქრობს?**

— ნამდვილად ვერ გეტყვით, „ბაიერნი" რას ფიქრობს, მაგრამ ჩვენ ამ ორრაუნდიანი ომის ბედის გადაწყვეტას „ბერნაბეუზე" პირველი მატჩის დროს ვაპირებთ. თუ მოგება გვინდა, უნდა გავისარჯოთ კიდეც.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ მარსელო გუნდში ადგილს წაგართმევთ?**

— მარსელო ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო განაპირა მცველია. მე კი „რეალში" მთელი ცხოვრება ხომ არ ვიქნები, ადრე თუ გვიან უნდა შემცვალოს ვილაცამ.

**— შობას როგორ გაატარებთ?**

— მშვენივრად. ჩემს შვილებთან, მშობლებთან და ოჯახთან ერთად ვიდღესასწაულებ. ბრაზილიაში წელიწადის ამ დროს ზაფხულია, დავისვენებ და ძალებს აღვიდგენ.

**— კაპელომ თქვა, ემანდ ბიჭებმა დღესასწაულებზე წონაში არ მოიმატონო...**

— კაპელო მშვიდად იყოს. 30 დეკემბერს მადრიდში ვიქნები და დარწმუნებული ვარ, ბიჭებს მძიმე წონაში მოჭიდავეებივით არ ვნახავ... ბედნიერ შობა-ახალწელიწადს გისურვებთ.

# ულიეს ორქულიანი წუნწუნი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XIX ტური

**მარსელი 2:1 სენტ ეტიენი**

1:0 ჯ. სისე (9), 1:1 ჰაინცი (45), 2:1 პაგისი (64)

**სოშო 2:1 ნანსი**

0:1 პუგრენიე (11), 1:1, 2:1 ზიანი (61, 65)

**ტრუა 1:1 პსჟ**

0:1 დიანე (47), 1:1 ბა (74)

**ლიონი 0:0 მონაკო**

**ბორდო 1:0 ლე მანი**

1:0 სიდი (61)

**ლილი 1:1 ოსერი**

1:0 იულა (50), 1:1 აკალე (55)

**ლორიანი 0:0 რენი**

**ნიცა 1:2 ლანსი**

1:0 ბ. კონე (26), 1:1 ჟიუსი (74), 1:2 დინდანე (77)

**ტულუზი 0:4 ნანტი**

0:1 როსი (65), 0:2 სეტო (72), 0:3 ოლიეჩი (77), 0:4 დიალო (86)

**ვალანსიენი 2:1 სედანი**

1:0 სავიდანი (13), 2:0 მატერი (19), 2:1 ჟობი (71)

**საფრანგეთის** ჩემპიონატის მიჯრით ხუთჯერ მომგები „ლიონი" და ამ სეზონის უდავო ფავორიტი ზამთრის შესვენებაზე თხუთმეტქულიანი უპირატესობით გავიდა. „ლომებმა" წელი „მონაკოსთან" საშინაო ფრით დაასრულეს. სტუმრებს „ჟერლანზე" მოგება შეეძლოთ, მაგრამ მთლიანობაში ფრე ლოგიკური შედეგი იყო, მომენტები ჟერარ ულიეს შეგირდებსაც ჰქონდათ.

„მინდორი იდეალურ მდგომარეობაში არ იყო, მაგრამ თამაში მაღალი კლასის გამოვიდა. საგოლე მომენტები მრავლად შევქმენით და მოგებას „მონაკოზე" მეტად ვიმსახურებდით, თუმც ეს ფეხბურთია. გვინდოდა, ზამთრის შესვენებაზე 52 ქულით გავსულიყავით, ახლა 50 გვაქვს, რაც კარგი შედეგია და უპირატესობაც სოლიდურია, თუმცა ჩემპიონები ჯერ არ ვართ და



ნიცელი ფორვარდი ბაკი და „ლანსის" ფეხბურთელის ბუცი

სწორ გზას არ უნდა გადავუხვიოთ" — თქვა ულიემ.

მეორე ადგილოსანმა „ლანსმა" სტუმრად მოუგო ბოლოდან მეორეზე მყოფ „ნიცას", თუმცა ეს ადვილი არ ყოფილა. 62-ე წუთზე ლანსელებს, რომლებიც 0:1-ს აგებდნენ, ნენად კოვაჩევიჩი გაუგდეს, მაგრამ ბრაზილიელი ჟიუსისა და კოტდიუვარელი არუნა დინდანეს გოლებით მათ მატჩის შემობრუნება შეძლეს.

„მარსელმა" საკუთარ „ველოდრომზე" „სენტ ეტიენს" მოუგო, რითაც სამეულს მიუახლოვდა. „მწვანეებმა" პირველი ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს. ჩეხმა ფორმარდმა მარეკ ჰაინცმა ფრედერიკ პიკიონის დარტყმულს დაამატა. ანგარიში მარსელელთა ახალმომჯობინებულმა ჯიბრილ სისემ გახსნა, რომელმაც მოტეხილი ფეხი ახლახან მოიშუშა და გოლი ნახევარ წელზე მეტ ხანს არ გაეტანა. მოგება კი მასპინძლებს სისეს პასით „მარსელის" მთავარმეგოლე მიკაელ პაგისმა მოუტანა..

„ლილი" შინ დაუზავდა „ოსერს". კლოდ პუელის გუნდისა და „სენტ ეტიენის" წაბორძიკებით კი მშვენივრად ისარგებლა „სოშომ" და მესამე ადგილზე აცოცდა. სოშოელებმა „ნანსისთან" კარიმ ზიანის წყვილი გოლით იმარჯვეს.

ცხრილის ქვედა ნაწილში გაჭედილმა პსჟ-მ ასევე აუტსაიდერ „ტრუას" ვერ მოუგო. დედაქალაქელები ამარა დიანემ კი დააწინაურა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ჟორჟ ბამ 74-ე წუთზე გაათანაბრა.

„წლეულს არ გვიმართლებდა. თუნდაც ამ მატჩში უამრავი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და დასანანია, რომ ვერ მოვიგეთ. მჯერა, მომავალი წელი ბევრად უფრო იღბლიანი და წარმატებული იქნება" — აღნიშნა პარიზელთა თავკაცმა გი ლაკომბმა.

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 19 | 16 | 2 | 1 | 39:11 | 50 |
| ლანსი | 19 | 10 | 5 | 4 | 28:20 | 35 |
| სოშო | 19 | 9 | 6 | 4 | 23:20 | 33 |
| სენტ ეტიენი | 19 | 9 | 4 | 6 | 31:23 | 31 |
| ლილი | 19 | 8 | 7 | 4 | 27:19 | 31 |
| მარსელი | 19 | 9 | 3 | 7 | 25:19 | 30 |
| ნანსი | 19 | 8 | 5 | 6 | 17:15 | 29 |
| ბორდო | 19 | 9 | 2 | 8 | 21:22 | 29 |
| რენი | 19 | 6 | 7 | 6 | 16:16 | 25 |
| ლე მანი | 19 | 5 | 9 | 5 | 21:22 | 24 |
| ლორიანი | 19 | 6 | 6 | 7 | 19:22 | 24 |
| ტულუზი | 18 | 7 | 3 | 8 | 20:25 | 24 |
| ოსერი | 19 | 5 | 8 | 6 | 20:24 | 23 |
| ვალანსიენი | 19 | 6 | 3 | 10 | 16:28 | 21 |
| მონაკო | 19 | 5 | 5 | 9 | 23:21 | 20 |
| პსჟ | 18 | 4 | 7 | 7 | 18:24 | 19 |
| ნანტი | 19 | 3 | 8 | 8 | 16:23 | 17 |
| ტრუა | 19 | 3 | 8 | 8 | 20:28 | 17 |
| ნიცა | 19 | 3 | 7 | 9 | 15:21 | 16 |
| სედანი | 19 | 2 | 7 | 10 | 22:34 | 13 |

II დივიზიონი. XX ტური

სტრასბური — ამიენი 1:0; აიაჩო — გენგამი 0:0; კაენი — დიჟონი 3:2; კრეტეი — ტურსი 4:3; გრენობლი — ნიორი 4:1; გენიონი — მონპელიე 3:0; ისტრი — მეცი 0:0; ლე ავრი — შატორუ 1:0; ლიბურნი — ბრესტი 3:2; რეიმსი — ბასტია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 20 | 14 | 5 | 1 | 30:9 | 47 |
| კაენი | 20 | 12 | 7 | 1 | 36:16 | 43 |
| სტრასბური | 20 | 10 | 7 | 3 | 26:17 | 37 |
| ლე ავრი | 20 | 8 | 9 | 3 | 29:17 | 33 |
| დიჟონი | 20 | 9 | 6 | 5 | 25:23 | 33 |
| გრენობლი | 20 | 8 | 8 | 4 | 31:22 | 32 |
| რეიმსი | 20 | 8 | 6 | 6 | 24:20 | 30 |
| ამიენი | 20 | 9 | 3 | 8 | 25:25 | 30 |
| შატორუ | 20 | 8 | 5 | 7 | 24:23 | 29 |
| აიაჩო | 20 | 7 | 6 | 7 | 20:21 | 27 |
| გენიონი | 20 | 8 | 3 | 9 | 23:28 | 27 |
| ბასტია | 20 | 6 | 7 | 7 | 25:24 | 25 |
| ლიბურნი | 20 | 6 | 5 | 9 | 25:28 | 23 |
| კრეტეი | 20 | 5 | 7 | 8 | 17:25 | 22 |
| მონპელიე | 20 | 5 | 4 | 11 | 21:28 | 19 |
| ბრესტი | 20 | 3 | 9 | 8 | 20:26 | 18 |
| ისტრი | 20 | 4 | 6 | 10 | 15:31 | 18 |
| გენგამი | 20 | 3 | 8 | 9 | 18:23 | 17 |
| ნიორი | 20 | 3 | 7 | 10 | 17:29 | 16 |
| ტურსი | 20 | 3 | 4 | 13 | 16:32 | 13 |

# გაქაჩვა და გაძევება

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XX ტური

**აბერდინი 1:2 რეინჯერსი**

0:1 ნოვო (22), 0:2 სიონკო (24), 1:2 ლოველი (84)

**სელტიკი 1:0 ფოლკირკი**

1:0 გრავესენი (24)

**დანდი იუნ. 0:1 ჰართსი**

0:1 ჰარტლი (55პ)

**დანფერმლაინი 0:0 ინვერნესი**

**ჰიბერნიანი 5:1 სენტ მირენი**

1:0 ბუზელინი (21), 2:0 კილენი (32), 2:1 სატონი (41), 3:1 შილსი (58), 4:1 ზემამა (65), 5:1 ბენჯელუნი (74)

**კილმარნოკი 1:2 მოზერუელი**

0:1 ფორანი (15), 0:2 პატერსონი (20), 1:2 ნეისმიტი (38)

**გლაზგოს** „სელტიკმა" თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. გორდონ სტრაჩანის გუნდმა „ფოლკირკს" ტომას გრავესენის ჩვეული გასროლით სძლია. მატჩის ბოლო წუთები დაძაბული გამოვიდა — სელტიკელთა კაპიტანი ნილ ლენონინ კენი მილნემ მოცელა და პენალტი „აიკიდა". ლენონი მილნესა და მის თანაგუნდელს ენტონი სტოუკს გაექაჩა, რის გამოც გააძევეს. თერთმეტმეტრიანი კი კენი მილერმა ვერ გამოიყენა — ძელს გაარტყა ბურთი.

„ეს სულელური ინციდენტი იყო, რომელმაც თამაში გააფუჭა. ლენონის გაგდება ნამდვილად არ მესიამოვნა და არც ის, რომ პენალტი გავაცუდეთ, რომელიც ამ სეზონში პირველად დაგვინიშნეს. მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ, რაც



ტომას გრავესენმა „სელტიკს" მოაგებინა

მთავარია, 3 ქულა მოვიპოვეთ" — თქვა სტრაჩანმა.

მეორე ადგილისთვის დაძაბული ბრძოლა გრძელდება. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო „აბერდინი" — „რეინჯერსის" შეხვედრა, რომელშიც გამარჯვება გლაზგოელებს დარჩათ და ახლა „აბერდინს" ერთი ქულით უსწრებენ. „ჩაფრებმა" ნაჩო ნოვოსა და ლიბორ სიონკოს ადრეული გოლებით იმარჯვეს. მატჩის მიწურულს სტივი ლოველმა ერთი ბურთი გაქვითა და ბოლო წუთებში მასპინძლებმა პოლ ლე გუენის გუნდს შტურმიც მოუწყვეს, მაგრამ ამაოდ.

„გუნდური სული გამოვავლინეთ და ბოლომდე ვიბრძოლეთ. ამან ძალიან საჭირო 3 ქულა მოგვიტანა. ჩვენი წარმატებული სვლა გრძელდება. ვფიქრობ, რთული პერიოდი დავძლიეთ, რაც ძალიან კარგია" — აღნიშნა ლა გუენმა.

**კოძი ძანდელაძი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 20 | 16 | 3 | 1 | 38:14 | 51 |
| რეინჯერსი | 20 | 10 | 5 | 5 | 32:19 | 35 |
| აბერდინი | 20 | 10 | 4 | 6 | 26:17 | 34 |
| ჰართსი | 20 | 8 | 6 | 6 | 28:20 | 30 |
| ჰიბერნიანი | 20 | 8 | 5 | 7 | 38:25 | 29 |
| კილმარნოკი | 20 | 8 | 5 | 7 | 30:33 | 29 |
| ფოლკირკი | 20 | 7 | 3 | 10 | 24:27 | 24 |
| დანდი იუნ. | 20 | 6 | 5 | 9 | 22:34 | 23 |
| ინვერნესი | 20 | 4 | 9 | 7 | 20:27 | 21 |
| მოზერუელი | 20 | 6 | 3 | 11 | 26:37 | 21 |
| სენტ მირენი | 20 | 4 | 7 | 9 | 18:29 | 19 |
| დანფერმლაინი | 20 | 3 | 5 | 12 | 13:33 | 14 |

I დივიზიონი. XIX ტური

გრეტნა — ჰამილტონი 1:0; ლივინგსტონი — ქუინი 0:1. *ტურის დანარჩენი მატჩები გადაიდო*

II დივიზიონი. XVIII ტური

კოუდენბითი — ალოა 5:2; ფორფარი — სტრანრარი 5:0; მორტონი — რეითი 1:0; პიტერჰედი — ბრეჩინი 1:4; სტირლინგი — ეარი 4:2

III დივიზიონი. XVIII ტური

ისტ სტირლინგი — ელგინი 0:2; ბერვიკი — ალბიონი 3:0; ისტ ფაიფი — სტენჰაუზმური 1:1; მონტროუზი — დამბარტონი 0:5; ქუინზ პარკი — არბროთი 1:0



# აქ მირჩევნია

**იენს ლემანმა** თქვა, რომ პრემიერლიგაში დარჩენა ურჩევნია ესპანეთში გადასვლას ან ბუნდესლიგაში დაბრუნებას. „არ ვიცი — თქვა ლემანმა — 37 წლის ვარ და „არსენალს" ჩემი დატოვება ნამდვილად სურს".

ცნობილია, რომ არსენ ვენგერი 30 წელს გადაცილებულ ფეხბურთელებს ერთწლიან კონტრაქტზე მეტს არ უფორმებს, მაგრამ გერმანელი მეკარე ამბობს, რომ მას სამწლიანი ხელშეკრულება შესთავაზეს. „ერთწლიანი კონტრაქტი არც ისე ცუდი იქნება — აცხადებს ლემანი — მაგრამ ჩემს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებაა. არ არსებობს 100 პროცენტიანი გარანტია იმისა, რომ „არსენალში" დავრჩები, მაგრამ მოლაპარაკება ყველაფერს გადაწყვეტს".

**ირაკლი ნინიძე**

# თავით გატეხილი აგურის კედელი



**ადრიანო** მადლობელია! ბრაზილიელი ვარსკვლავი მადლობას სწირავს „ინტერის" პატრონს მასიმო მორატისა და თანაგუნდელებს, რომელთაც მისი ცხრათვიანი უგოლობა ვაჟკაცურად გადაიტანეს.

„ბედნიერი ვარ — უთხრა ადრიანომ „ინტერის" არხს მას მერე, რაც შაბათს „ატალანტას" კარში ბურთი თავით შეაგდო — გუნდი ყოველთვის მაგრძნობინებდა, რომ ჩემი სწამდა, რაც ძალიან მიწყობდა მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელს, ახლა საშინელი აგურის კედელი უკვე გავარღვიე და ვიმედოვნებ, რომ ამიერიდან ბევრ გოლს გავიტან."

ბოლოს ადრიანოს 29 მარტს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ვილიარეალის" კარში ჰქონდა გატანილი. ბუნებრივია, როდესაც ფორვარდი ამდენი ხნის განმავლობაში ბურთს კარში ვერ უმიზნებს, ბევრი კითხვა ჩნდება, „ინტერმა" კი მართლა ბოლომდე უერთგულა თავის წევრს და ამასწინათ დასვენების და გონს მოგებისთვის მთელი კვირით სამშობლოში, ბრაზილიაშიც კი გაუშვა.

„დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ხნის განმავლობაში გვერდით მედგა. ძნელ დროს მოთმინებით და მუხლჩაუხრელი შრომით სჭირდება გადალახვა" — ამბობს თავდამსხმელი, რომელიც აღიარებს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ შეცდა.

„ძალიან დიდ პატივს ვცემ „ინტერის" პრეზიდენტს, გუნდის წევრებს და გულშემატკივარს, მაგრამ ისეთი ცუდი პერიოდი მედგა, რომ მათ გასახარებლადაც კი ვერაფერს ვხდებოდი. მორატი ძალიან დამეხმარა, მამაჩემი გარდაცვლილია და ვგონებ მამის ტოლფასი რჩევა სწორედ მან მომცა. ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც ხალხში აუცილებლად თავისიანის მხარეს იჭერს. იმედი მაქვს, რომ ამ მშვენიერ ადამიანს სიხარულს მივანიჭებ" — დასძინა ადრიანომ.

ამასობაში კი „შავ-ლურჯები" ავსტრალიელი ვინჩენცო გრელას ყიდვას აპირებენ. გრელა ამჟამად „პარმაში" თამაშობს, თუმცა სეზონის ბოლოს მისი კონტრაქტის ვადა იწურება. სხვათა შორის, ზუსტად ასე იყიდა „ინტერმა" „რომასგან" ოლივიე დაკური და „რეალისგან" ესტებან კამბიასო. როგორც ცნობილია, შავ-ლურჯები" გრელას აგენტს უკვე დაუკავშირდნენ.

27 წლის გრელა 1998 წლის შემდეგ იტალიაშია, „კასტელიანის" შემდეგ „ემპოლიში" თამაშობდა. შემდეგ „ემპოლიმ" ფეხბურთელი 18 თვით „ტერნანას" მიაქირავა, საიდანაც იგი ისევ „კასტელიანის" დაუბრუნდა.

ვინჩენცო გრელა დაბადებით მელბურნიდან არის. ავსტრალიაში იგი თამაშობდა „კანბერა კოსმოსსა" და „კარლტონში".

2004 წლიდან ფეხბურთელი „პარმაშია". ბოლო დროს მისი შეძენა სურდათ „ტორინოს", „იუვენტუსს" და „ლაციოს".

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატში გრელა ავსტრალიის ნაკრების მაისურით მონაწილეობდა.

**პაპუნა ძიძია**

# ბოდიში, იტალია!



**ფრანგული** ფეხბურთისა და „იუვენტუსის" ლეგენდამ მიშელ პლატინიმ აღნიშნა, რომ ფაბიო კანავარო ღირსეულად აღიარეს ყველა წამყვან გამოკითხვაში წლის საუკეთესო მოთამაშედ. შეგახსენებთ, რომ პლატინი თავიდან ამბობდა „ოქროს ბურთი" ჯანლუიჯი ბუფონს ეკუთვნის და მას არანაკლებ იმსახურებენ ტიერი ანრი და რონალდინიოცო.

„როცა კანავარომ ფიფას ჯილდოც მიიღო აზრი შევიცვალე, იგი მწვრთნელებმაც აღიარეს და ეს ნიშნავს, რომ ფაბიო ყველა იმ ჯილდოს იმსახურებდა, რომლებიც მოიგო. მას ბრწყინვალე მსოფლიო ჩემპიონატი ჰქონდა და ეს აღიარება აუცილებლად „სკუადრა აძურას" რომელიმე წევრს უნდა მოეპოვებინა. თავიდან ვამბობდი, რომ „ოქროს ბურთი" ჯანლუიჯი ბუფონს უნდა მოეგო, მაგრამ კანავარო ამას არანაკლებ იმსახურებდა. ბოდიში იტალიელ ხალხს, რომლებსაც ჩემი ნათქვამები ეწყინათ. მიხარია რომ მუნდიალი იტალიამ მოიგო თქვენ ამას იმსახურებდით" — განუცხადა პლატინიმ „გაძეტა დელო სპორტს".

შეგახსენებთ, რომ პლატინი, რომელიც უეფას პრეზიდენტობის რეალური კანდიდატია, ერთადერთი ფეხბურთელია ვისაც „ოქროს ბურთი" ზედიზედ სამჯერ მოუგია — 1983,1984 და 1985 წლებში.

**გიორგი ძაძაბაძე**

# როზინას ოცნება



**„ტორინოს"** ამომავალი ვარსკვლავი ალესანდრო როზინა იმედოვნებს, რომ 2007 წელს მისი სანაკრებო დებიუტიც შედგება. იტალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმაც განაცხადა, რომ ამ უნიჭიერეს ყმაწვილს დიდი ინტერესით აკვირდება და სულაც არ გამორიცხავს, რომ ყმაწვილკაცის „ოცნება ახდება" ახდება.

„დონადონის გამოძახებაზე უკეთესს ვერაფერს ვინატრებ — ამბობს როზინა — ნაკრებში თამაში ჩემი მკაფიო მიზანია და მის ასრულებას უახლოვეს მომავალში ვაპირებ. ასაკით მხოლოდ 22 წლისა გახლავართ და იტალიის ეროვნულ გუნდში გამოსვლა მთელი ჩემი კარიერისთვის იქნება დიდი სტიმულის მომცემი, თუმცა იმავდროულად აჩქარება არ მმართებს, ორთავ ფეხით მყარად უნდა ვიდგე მიწაზე. რაც უნდა მოხდეს მომავალში, მინდა ისეთივე ადამიანად დავრჩე, როგორიც დღეს ვარ".

რა გასაკვირია, რომ ალესანდრო როზინა ქვეყნის 21 წლამდელთა ნაკრების მუდმივი წევრია. ის ბოლო ორი თვის განმავლობაში „ტორინოს" ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია. ბოლო ტურში, „ლივორნოსთან" შეხვედრაში როზინამ ძელს გაარტყა ბურთი.

**პაპუნა ძიძია**

# მონანიება

## კანავარომ უელვა აღიარა



**ფაბიო კანავარომ** გულშემატკივართა წინაშე „უელვასთან" თამაშში დაშვებული შეცდომები მოინანია. 2006 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი და ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო ფეხბურთელი „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალისა" და პირადად მისი უსახური ბურთაობისთვის ბოდიშს იხდის.

„რასაკვირველია, გუნდს და ინჩასებს მუდამ მოგება უნდათ, თუმცა ოთხშაბათს ძალიან ცუდად ვითამაშეთ. იმედია, 2007 წელს ხალხი განსხვავებულ „რეალს" იხილავს. გულშემატკივრებს კი პატიებას ვთხოვ ცუდად ჩატარებული მატჩისთვის" — განაცხადა იტალიელმა მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე.

კანავარომ აღნიშნა, რომ სამეფო თეთრებმა „უელვასთან" ყველაფერი ცუდად გააკეთეს და ასე მატჩის მოგება არ შეიძლება: „ვფიქრობ, ყველაფერი ჩავაგდეთ. მატჩი ძნელი გამოდგა და თავსაც ვერაფრით ვიმართლებთ. მთელმა გუნმა ცუდად ითამაშა. რაღა გვეთქმის, როცა ფანებმა „რეალის" ამგვარი საცოდაობა იხილეს. 0:3-ზე წაგებამ მორალურადაც ცუდი სამსახური გაგვიწია და ცხრილშიც ქულები დაგვაკლო. გათანაბრებაც ვერ შევძელით... როცა მოედანზე საბრძოლველად განწყობილი არ გადიხარ და ცუდად ბურთაობ, გამარჯვება ყოველთვის მოწინააღმდეგეს დარჩება".

სამეფო გუნდის მცველს არც მეტოქის შექება დავიწყებია: „ჩვენგან განსხვავებით, „უელვამ" იცოდა რა უნდა გაეკეთებინა მოედანზე და მიზანსაც მიაღწია. კაპელო მატჩის შემდეგ ძალიან გაგვიბრაზდა, რასაც ნორმალურ მოვლენად მივიჩნევ — სხვანაირად არც უნდა მოქცეულიყო".

„რეალს" კი თითქოს ყველა ცენტრალური მცველი დაუწყევლესო — უკვე წლებია, რაც სამეფო თეთრები დაცვის ცენტრისთვის ერთი შეხედვით ძლიერ ბიჭებს ყიდულობენ (ივან კამპო, ვალტერ სამუელი, ჯონათან ვუდგეიტი, კარლოს დიოგო) და საბოლოოდ არც ერთი არ გამოადგათ. არადა, დაცვის ფლანგებზე (რობერტო კარლოსი, მიჩელ სალგადო) საქმე მშვენივრადაა. „უელვასთან" ვერც კანავარომ გამოიჩინა თავი.

**ლადო ხომერიკი**

# ფრანკ რიბერის საჭე წაართვეს



**საფრანგეთის** ნაკრებისა და „მარსელის" ერთ-ერთი ლიდერი ფრანკ რიბერი დაჯარიმდება. მიზეზი: თურმე გარემარბს არასდროს არ ჰქონია მძღოლის მოწმობა და ამის მიუხედავად საფრანგეთის გზებსა და გზატკეცილებზე ლაღად დაჰქროდა. რიბერის პოლიციელებისთვის უთქვამს, თავის დროზე საერთაშორისო მოწმობის ასაღებად გამოცდა ჩავაბარეო, მაგრამ აბა, ეგ რა შელავათია.

მოკლედ, გაირკვა, რომ ფრანგი ვარსკვლავი სექტემბერში გაუჩერებიათ და დოკუმენტები არ ჰქონია. მას მერე საქმე სასამართლოშია. ჯარიმის ზომას მარტში იტყვიან.

**პაპუნა ძიძია**

# მოლდოვა დობროვოლსკის



მოლდოვას ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების თავკაცად 39 წლის იგორ დობროვოლსკი დანიშნა, რომელიც აქამდე მოლდოველთა უკვე ყოფილი მწვრთნელის ანატოლი ტესლევის თანაშემწედ მუშაობდა.

მოლდოველებმა ევრო 2008-ის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ძალიან ცუდად დაიწყეს. ისინი C ჯგუფში 4 თამაშიდან 1 ქულით ბოლო ადგილზე არიან და ტესლევიც ამის გამო გადადგა. ახალი მწვრთნელის ამოცანა ნაკრების გადახალისება და ვითარების გამოსწორებაა.

დობროვოლსკის თამაში ცოტა სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ. უკრაინაში დაბადებული შემტევი ნახევარმცველის კარიერა „ნისტრუში“ დაიწყო. ამას მოსკოვის „დინამო“, ფრანგული „მარსელი“, მადრიდის „ატლეტიკო“ და იტალიური „ჯენოა“ მოჰყვა. მას ასევე გერმანულ და შვეიცარულ კლუბებშიც უთამაშია.

საბჭოთა კავშირთან ერთად დაბროვოლსკიმ 1988 წელს სეულის ოლიმპიადა მოიგო, 1990 წელს კი მუნდიალზე ითამაშა. 1992 და 1996 წლებში მან რუმინეთის ნაკრების რიგებში ევროპის ჩემპიონატებში მიიღო მონაწილეობა.

**ძოძი ძანდელაძი**



## ჯონ ტერიმ ფული მოიგო

„ჩელსის“ კაპიტანმა ჯონ ტერიმ 87 ათასი გირვანქა მოიგო, რადგან რულეტკაზე თამაშისას ფული თავისი მაისურის ნომერზე დადო.

ტერი ლონდონის ექსკლუზიურ კაზინოში იყო თანაგუნდელებთან ერთად და 2500 გირვანქა თავისი მაისურის 26-ე ნომერზე დადო. მოგებამ 35-ჯერ მეტი თანხა შეადგინა.

მანამდე ხუთჯერ წაუგია მაგრამ ეს ბოლო იღბლიანი გამოდგა. მერე ტერი მოთამაშე თანაგუნდელებს ამხნევებდა, თუმცა იმათ ვერაფერი იხეირეს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბიჭები სტადიონზე

ამ კვირაში „რედინგი“ „სტემფორდ ბრიჯს“ სტუმრობს და მცველი იბრაჰიმა სონკო შეშინებულია, რადგან სასიკვდილო მუქარის წერილები მიუღია „ჩელსის“ მანიაკი ფანებისგან.

სონკო ის კაცია, რომელიც პირველი წრის მატჩში მეკარე კარლო კუდიჩინის შეეჯახა და გონება დააკარგვინა. ამიტომ ახლა შეშლილთა შურისძიებისა ეშინია. იმავე თამაშში „ჩელსის“ პირველი მეკარე პეტრ ჩეხიც დაუშავდა და ნახევარმცველ სტივენ ჰანტთან შეჯახებისას და სასიკვდილო წერელი მანაც მიიღო.

„მე და სტივმა ალბათ ერთიდაიგივე ხალხისგან მივიღეთ წერილები — თქვა სონკომ — ამბავი ჩავლილია, მაგრამ ახლა გამოილვიძა. მე ძალიან შემეშინდა. ეს მუქარა სერიოზულად მივიღე, რასაც გიჟი რალაცას გადაწყვეტს, ის სახიფათო ხდება“.

თავის მხრივ „ჩელსიმ“ გამოაცხადა, რომ სტადიონზე უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიიღებს.

იმ თამაშის შემდეგ ჟოზე მაურინიო რედინგელებს, განსაკუთრებით კი ჰანტს, განგებ ტრავმის მიყენებაში ადანაშაულებდა, თუმცა, ასოციაციამ ორივე ფეხბურთელი გაამართლა.

„რედინგის“ მენეჯერი სტივ კოპელი ორივე ფეხბურთელის ძირითადში დააყენებას აპირებს:

„ვიცი, რომ სტივენს მაყურებელი ცუდად მიიღებს, მაგრამ ასეთი რამ ფეხბურთში არსებობს. ზოგ სტადიონზე არ უყვარხარ ხოლმე“.

**ირაკლი გამყრელიძე**



იბრაჰიმა სონკოს სიკვდილით ემუქრებიან

## ჰოლანდია

**ერედივიზიონი. XVIII ტური**

**ჰერაკლესი 0:1 გრონინგენი**

0:1 ლოვრე (62)

**ბრედა 2:2 დენ ჰააგი**

0:1 ელია (17), 1:1 სლოტი (32), 1:2 მოლსი (45), 2:2 ლეონარდო (81)

**პსვ 4:0 ტილბურგი**

1:0 აფელაი (4), 2:0 ა. კონე (16), 3:0 სიმონსი (22), 4:0 ტარდელი (71)

**ჰერენვენი 2:0 ექსელსიორი**

1:0 ა. ალვეში (24), 2:0 ლ. ნილსონი (42)

**ფეიენოორდი 3:2 სპარტა**

0:1 ცვეტკოვი (16), 1:1 ხარისტიასი (17), 2:1 ლუსიუსი (293), 2:2 ფრაირი (46), 3:2 ვინკენი (75)

**როდა 2:0 ტვენტე**

1:0, 2:0 ტურნუა (2, 31)

**ვიტესი 4:2 აიაქსი**

0:1 გრიგერა (4), 0:2 დე მული (35), 1:2 ლაზოვიჩი (49), 2:2 იუნკერი (51), 3:2 ბენსონი (89), 4:2 ჰერსი (90)

**ალკმაარი 0:0 ნაიმეგენი**

**ვალვაიკი 1:1 უტრეხტი**

1:0 ფუხსი (7), 1:1 კალუვე (25)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 18 | 16 | 1 | 1 | 50:6 | 49 |
| ალკმაარი | 18 | 12 | 4 | 2 | 52:16 | 40 |
| აიაქსი | 18 | 12 | 2 | 4 | 43:19 | 38 |
| ტვენტე | 18 | 10 | 5 | 3 | 40:20 | 35 |
| ფეიენოორდი | 18 | 11 | 2 | 5 | 37:34 | 35 |
| ჰერენვენი | 18 | 9 | 2 | 7 | 32:25 | 29 |
| გრონინგენი | 18 | 8 | 3 | 7 | 28:35 | 27 |
| ვიტესი | 18 | 8 | 1 | 9 | 33:30 | 25 |
| ნაიმეგენი | 18 | 7 | 4 | 7 | 19:21 | 25 |
| როდა | 18 | 7 | 4 | 7 | 21:24 | 25 |
| უტრეხტი | 18 | 7 | 3 | 8 | 26:30 | 24 |
| ბრედა | 18 | 6 | 5 | 7 | 20:28 | 23 |
| ექსელსიორი | 18 | 4 | 4 | 10 | 25:36 | 16 |
| სპარტა | 18 | 5 | 1 | 12 | 20:39 | 16 |
| ჰერაკლესი | 18 | 4 | 3 | 11 | 15:35 | 15 |
| ტილბურგი | 18 | 4 | 1 | 13 | 18:45 | 13 |
| დენ ჰააგი | 18 | 3 | 3 | 12 | 20:34 | 12 |
| ვალვაიკი | 18 | 2 | 6 | 10 | 15:37 | 12 |

**II დივიზიონი. XXII ტური**

როზენდალი — დენ ბოსხი 2:0; გრააფსხაპი — ალმერე 6:1; ემენი — ზვოლე 3:3;ეინდჰოვენი — ტელსტარი 2:1; ვოლენდამი — დორდრეხტი 1:3; სიტარდი — ჰელმონდი 0:1; იგლსი — კამბური 1:0; ჰაარლემი — ვეენდამი 2:0; ოსი — მაასტრიხტი 3:0; ვენლო — აპელდორნი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენდალი | 22 | 15 | 5 | 2 | 54:21 | 50 |
| გრააფსხაპი | 22 | 15 | 3 | 4 | 51:24 | 48 |
| ვენლო | 22 | 12 | 5 | 5 | 35:24 | 41 |
| დორდრეხტი | 22 | 11 | 4 | 7 | 36:24 | 37 |
| დენ ბოსხი | 22 | 11 | 4 | 7 | 33:27 | 37 |
| იგლსი | 22 | 10 | 6 | 6 | 32:25 | 36 |
| ვეენდამი | 22 | 7 | 11 | 4 | 36:28 | 32 |
| ვოლენდამი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:26 | 32 |
| ჰაარლემი | 22 | 8 | 8 | 6 | 30:26 | 32 |
| ტელსტარი | 22 | 10 | 2 | 10 | 40:37 | 32 |
| ემენი | 22 | 8 | 7 | 7 | 41:33 | 31 |
| ოსი | 22 | 7 | 4 | 11 | 33:48 | 25 |
| მაასტრიხტი | 22 | 6 | 6 | 10 | 26:33 | 24 |
| ალმერე | 22 | 6 | 6 | 10 | 31:46 | 24 |
| ზვოლე | 22 | 5 | 8 | 9 | 30:30 | 23 |
| აპელდორნი | 22 | 6 | 5 | 11 | 30:41 | 23 |
| კამბური | 22 | 6 | 5 | 11 | 24:37 | 23 |
| სიტარდი | 22 | 5 | 4 | 13 | 19:37 | 19 |
| ეინდჰოვენი | 22 | 4 | 6 | 12 | 27:44 | 18 |
| ჰელმონდი | 22 | 4 | 5 | 13 | 21:50 | 17 |

## პორტუგალია

**მეორე დივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

**ლეიშოეში 2:1 ჟილ ვისენტე**



კლაუდიო ბელუჩი

# დამწვარი კაცის დარდი

იტალიური „ბოლონიას“ ლიდერი კლაუდიო ბელუჩი მიიჩნევს, რომ მისი გუნდი „იუვენტუსთან“ მატჩში „დაწვეს“ და რეაგირებას მოითხოვს. როგორც ხვდებით, საქმე მარსელო ძალაიეტას გოლს ეხება, რომელიც წესით არ უნდა ჩათვლილიყო. თანაც მსაჯმა დომენიკო მესინამ ბელუჩი პროტესტის გამო გააფრთხილა და მას „ბრეშასთან“ შეხვედრის გამოტოვება მოუხდა.

კოაუდიო ბელუჩი: „შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გაგვქურდეს. „იუვენტუსის“ გოლი ჩასათვლელი არ იყო და ეს მთელმა იტალიამ ნახა. მინდორზე ვიყავი და კარგად დავინახე, რომ ძალაიეტამ ბურთი ხელით გააჩერა. ასეც რომ არ იყოს, მის დარტყმული ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს. ჩვეულებრივი პროტესტის გულისთვის კი გამაფრთხილეს. ეს უსამართლობაა. ამ მოგონილი გოლის გამო, სამწუხაროდ, ლიდერობა დავკარგეთ. ახლა ამ ეპიზოდის გარდა ვერაფერზე ვფიქრობთ. იმედია, მომავალში ამგვარი რამეები არ განმეორდება“.

„როსობლუს“ ლიდერი ამჟამად სერია B-ს მთავარმეგოლეა და დიდი შანსია, საბოლოოდ გახდეს კიდეც „კაპოკანონიერე“ ანუ ბომბარდირი. იგი თვლის, რომ სერია A-ს საგზურს „ბოლონია“, „იუვენტუსი“ და „ნაპოლი“ მოიპოვებენ.

„ვფიქრობ, უმაღლესი ლიგის საგზურს ჩვენ, „ნაპოლი“ და „იუვენტუსი“ მოვიპოვებთ. ნებისმიერ შემთხვევაში „კაპოკანონიერეს“ ტიტულს ახლავე სიამოვნებით დავთმობდი სერია A-ში თამაშის გარანტიის სანაცვლოდ“ — დასძინა ბელიჩიმ.

**ძოძი ძანდელაძი**

# ორწუთიანი არეცო

ტურინის „იუვენტუსი“ ამ სეზონში შინ პირველად დაკარგა ქულები. „ბებერი ქალბატონი“ მე-80 წუთამდე 2:0-ს იგებდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა დანიელე მარტინეტიმ მოულოდნელად დუბლი შეასრულა და შეხვედრა ფრედ დასრულდა. ეს პირველ რიგში „იუვეს“ მცველების, კერძოდ ჟან-ალან ბუმსონგის შეცდომების ბრალია.

„ბიჭებმა ჩათვალეს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და ბოლო წუთებში მეტოქეს ზედმეტი სივრცე მივეცით. პირველ ტაიმში ცუდად ვთამაშობდით, თან „არეცომ“ პრესინგით შეგვებოჭა, მეორე ნახევარში თამაში გამოვასწორეთ, მაგრამ ბოლო 15 წუთში კონცენტრაცია დავკარგეთ“ — აღნიშნა ტურინელთა მწვრთნელმა დიდიე დეშანმა.

დავიდ ტრეზეგემ დიდი პაუზის შემდეგ კოხტა გოლი გაიტანა და „იუვენტუსი“ დააწინაურა. მალევე ჩინებულად მოთამაშე რაფაელე პალადინომ ტრეზეგესვე პასით შეაგდო და სხვაობა გაზარდა. მერე კი მარტინეტის დრო დადგა.

„შეიძლება ითქვას, ორი გოლი ჩვენს კარში ძალით მოვიგონეთ. ბოლო წუთებში ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები შეგვექმნა. ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ ჯერ არაფერი დამთავრებულა და წინ სეზონის დიდი ნაწილია. წლის ასე დამთავრება მთლად კარგი არ არის, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია“ — დასძინა დეშანმა.

იტალიური პრესა კი კვლავ „იუვენტუსზე“ და გაულ მივეზე საუბრობს. ტურინელებს სურთ, დაცვა „მონაკოს“ 25 წლის ფეხბურთელით გააძლიერონ და მის შეძენას ალაბთ იანვარშივე ეცდებიან. თუმცა „ბებერ ქალბატონს“ სერიოზული მოცილე გამოუჩნდა — ესპანური „ვალენსია“. „ლამურები“ ვეტერანი ფაბიან აიალას შემცვლელს ეძებენ, რომელიც სეზონის ბოლოს კარიერის დასასრულებლად ალბათ სამშობლოში დაბრუნდება და „ესტუდიანტეში“ ჩაირიცხება.




დიდიე დეშანი

**გიორგი ძაძაბაძე**

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## ინგლისი. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 1 | ჩელსი-რედინგი | 1.22 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.11 | 3.86 |
| 19:00 | 3 | ბლექბერნი-ლივერპული | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 19:00 | 5 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1.95 | 3.20 | 4.00 | 1.21 | 1.31 | 1.77 |
| 19:00 | 6 | ევერტონი-მიდლსბრო | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| 19:00 | 7 | მანჩესტერი-უიგანი | 1.22 | 5.70 | 11.00 | 1.00 | 1.09 | 3.75 |
| 19:00 | 9 | შეფილდი-სიტი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 17:00 | 10 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 17:00 | 11 | ვესტ ჰემი-პორტსმუთი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 21:30 | 12 | უოტფორდი-არსენალი | 7.00 | 4.00 | 1.45 | 2.54 | 1.20 | 1.06 |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 14 | ჩარლტონი-ფულემი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |

## ინგლისი. ჩემპიონატი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 45 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 17:00 | 46 | კარდიფი-პლიმუთი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 19:00 | 47 | ბარნსლი-ბარნლი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 48 | ბირმინგემი-ქპრ | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 19:00 | 49 | კოლჩესტერი-ლუტონი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 19:00 | 50 | ქოვენთრი-იფსვიჩი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 19:00 | 51 | დერბი-ვულვერჰემპტონი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 19:00 | 52 | ჰალი-ლესტერი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 53 | ნორვიჩი-საუთენდი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 54 | სტოკი-უენსდი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 55 | სანდერლენდი-ლიდსი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 56 | ვესტ ბრომვიჩი-პრესტონი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |

## ინგლისი. I ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 93 | ბრენტფორდი-მილუოლი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 17:00 | 94 | ბლეკპული-კარლაილი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 95 | ბრედფორდი-დონკასტერი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 96 | ბრაიტონი-იოვილი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 97 | ბრისტოლი-ბორნმუთი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 98 | ქრიუ-სუონსი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 99 | ჯილინგემი-ლეიტონი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 100 | ჰადერსფილდი-ტრანმერი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 101 | ნორთჰემპტონი-ჩელტენემი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 102 | ნოტინგემი-პორტ ვეილი | 1.52 | 3.60 | 6.00 | 1.06 | 1.21 | 2.25 |
| 19:00 | 103 | როტერჰემი-ოლდემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 104 | სკანთორპი-ჩესტერფილდი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |

## ინგლისი. II ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 153 | როჩდეილი-რექსემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 16:30 | 154 | ჰერეფორდი-როვერსი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 17:00 | 155 | ბარნეტი-პიტერბრო | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 19:00 | 156 | აკრინგტონი-ბერი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 19:00 | 157 | ჩესტერი-მაკლსფილდი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 158 | დარლინგტონი-მენსფილდი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 19:00 | 159 | ჰარტლპული-გრიმსბი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 160 | ლინკოლნი-ბოსტონი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 161 | სტოკპორტი-ნოტსი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 162 | სუინდონი-უიკომბი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 163 | ტორკი-დონსი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 164 | უოლსოლი-შრიუსბერი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |

## ინგლისი. კონფერენსი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 213 | ალდერშოტი-ფორესტ გრინი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 214 | ალტრინჰემი-ნორთვიჩი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 215 | კემბრიჯი-რაშდენი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 216 | დაგ ენდ რედი-გრეისი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 17:00 | 217 | გრეივსენდი-ქროული | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 218 | ოქსფორდი-უოკინგი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 219 | საუთპორტი-მორიკომბი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 17:00 | 220 | სტ.ალბანსი-სტივენეიჯი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 19:00 | 221 | სტ.რეინჯერსი-კიდერმინსტერი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 16:30 | 222 | ტემუორთი-ბარტონი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 17:00 | 223 | ვეიმუთი-ექსეტერი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |

## შოტლანდია. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 260 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 261 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 262 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1.15 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.28 |
| 19:00 | 263 | დანფერმლაინი-მოზერუელი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 264 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 265 | ინვერნესი-რეინჯერსი | 6.20 | 3.70 | 1.50 | 2.31 | 1.20 | 1.06 |

## შოტლანდია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 284 | სტ.ჯონსტონი-კლაიდი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:00 | 285 | ერდრი-როსი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 286 | დანდი-პარტიკი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |

## ჰოლანდია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 434 | ფეიენოორდი-პსვ | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 17:30 | 435 | ტილბურგი-ექსელსიორი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 19:30 | 436 | გრონინგენი-სპარტა | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 437 | დენ ჰააგი-ვალვაიკი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 23:00 | 438 | ბრედა-ვიტესი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 23:00 | 439 | ნაიმეგენი-ჰერენვენი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:00 | 440 | ტვენტე-ალკმაარი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 23:00 | 441 | უტრეხტი-ჰერაკლესი | 1.42 | 3.80 | 7.00 | 1.03 | 1.18 | 2.46 |
| 23:00 | 442 | აიაქსი-როდა | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |

## საბერძნეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 480 | ოფი-ატრომიტოსი | 2.05 | 2.90 | 3.75 | 1.20 | 1.32 | 1.63 |
| 21:00 | 481 | პაოკ-აეკ | 2.65 | 2.90 | 2.60 | 1.38 | 1.31 | 1.37 |
| | | **7 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 482 | იონიკოსი-ერგოტელისი | 2.10 | 2.90 | 3.60 | 1.21 | 1.32 | 1.60 |
| 17:00 | 483 | კალამარია-კერკირა | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 19:00 | 484 | პანიონიოსი-ირაკლისი | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 19:00 | 485 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 21:00 | 486 | არისი-ოლიმპია | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 21:00 | 487 | პანათინაიკოსი-ევალეო | 1.15 | 6.30 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.34 |

## ჰოკეი.NHL

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 600 | ბუფალო-ვაშინგტონი | 1.55 | 4.30 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.76 |
| 23:45 | 601 | ჩიკაგო-დალასი | 2.35 | 4.20 | 1.90 | 1.50 | 1.05 | 1.30 |
| 23:45 | 602 | ატლანტა-ტამპა ბეი | 1.70 | 4.30 | 2.50 | 1.21 | 1.01 | 1.58 |
| 23:45 | 603 | კაროლინა-ფლორიდა | 1.55 | 4.30 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.76 |
| 23:45 | 604 | კოლამბუსი-ბოსტონი | 1.90 | 4.30 | 2.20 | 1.31 | 1.01 | 1.45 |
| 23:45 | 605 | აილენდერსი-რეინჯერსი | 2.00 | 4.20 | 2.20 | 1.35 | 1.04 | 1.44 |
| 23:45 | 606 | ნიუ ჯერსი-პიტსბურგი | 1.65 | 4.30 | 2.80 | 1.19 | 1.03 | 1.69 |
| 23:45 | 607 | ტორონტო-მინესოტა | 1.75 | 4.30 | 2.40 | 1.24 | 1.01 | 1.54 |
| 23:45 | 608 | ნეშვილი-სტ.ლუისი | 1.45 | 4.40 | 3.30 | 1.09 | 1.00 | 1.88 |
| 23:45 | 609 | კალგარი-ვანკუვერი | 1.55 | 4.30 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.76 |
| 23:45 | 610 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 2.00 | 4.20 | 2.20 | 1.35 | 1.04 | 1.44 |
| 23:45 | 611 | ლოს ანჯელესი-ფენიქსი | 1.75 | 4.30 | 2.40 | 1.24 | 1.01 | 1.54 |

## ჰოკეი. ჩეხეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 709 | ტრჟინეცი-კლადნო | 1.80 | 4.20 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 20:00 | 710 | ვსეტინი-ლიტვინოვი | 3.00 | 4.20 | 1.80 | 1.75 | 1.12 | 1.25 |
| 20:30 | 711 | ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 1.60 | 4.30 | 3.50 | 1.16 | 1.09 | 1.92 |
| 21:00 | 712 | სპარტა-პლზენი | 1.45 | 4.50 | 4.00 | 1.09 | 1.06 | 2.11 |
| 21:00 | 713 | კარლოვი ვარი-ზლინი | 2.05 | 4.10 | 2.30 | 1.36 | 1.08 | 1.47 |
| 21:30 | 714 | ლიბერეცი-პარდუბიცე | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| 22:00 | 715 | სლავია-ზნოიმო | 1.60 | 4.30 | 3.70 | 1.16 | 1.11 | 1.98. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

**23 დეკემბერი**
**ვერის ბალი**

**სტუ 67:97 აზოტი**
*16:27 13:30 22:22 16:18*

სტუ: კოხრეიძე (7), ბერაია (10), გ. ბარბაქაძე (13), მაისურაძე (11), ახალკაცი (9); ბაბუნაშვილი (7), ლ. ნოზაძე (8), ეძგვერაძე (2)
აზოტი: გამყრელიძე (21), გოგობერიშვილი (9), ჭოჭუა (2), დიდია (3), უგრეხელიძე (14); ტუჯანი (13), მარკოიშვილი (10), ტულუში (7), ლიპარტელიანი (5), ბოისა (9), ცეკვავა, მინაშვილი (4)
*მსაჯები: დავი ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**დინამო 88:83 მაკაბი**
*13:27 23:19 25:20 27:17*

დინამო: ნ. ნოზაძე (11), ფაიქრიძე, კეშელავა (6), მურჯიკნელი (14), კოლუაშვილი (15); ბადრიძე (17), ლაფანაშვილი (13), სიგუა (8), ბოლქვაძე (2), ბექაური (2)
მაკაბი: დოლიძე (14), კორკოტაძე (3), ვაშაკიძე (18), ს. შერმადინი (16), გ. შერმადინი (28); ნინუა (4), პირველაშვილი
*მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

**ავიამშენი 93:92 თსუ**
*23:16 24:25 20:19 26:32*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (14), ხოშტარია (18), ბარბაქაძე (7), ბაბიაშვილი (25), სუხიშვილი (2); ი.ბერიშვილი (18), კეიდია (7), როდუმტა (2), ნიკოლაძე
თსუ: ვეფხვაძე (3), ლეჟავა (24), ხეცურიანი (16), შანიძე (15), მათიაშვილი (13); ბ. ბერიშვილი (12), მ. ბერიშვილი (5), ფანჩულიძე (4), სანიკიძე, არწივიძე, ტყეშელაშვილი
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

## წრე და წელი დრამით დასრულდა

### ბერიშვილებმა ავიამშენს ტყუპი სიხარული აჩუქეს

**ირაკლი პერტაია**



[illegible] ფოტო

**შაბათს** სუპერლიგის მეორე წრე დასრულდა და თითქოს სიმბოლური იყო, რომ 2006 წლის ბოლო მატჩი ყველაზე დაძაბული გამოდგა მიმდინარე სეზონში. აქამდეც ყოფილა საინტერესო მატჩები, მაგრამ ეს ძირითადად ცხრილის ქვედა ნაწილის ბინადართა შორის, სუსტების დაპირისპირებაში ხდებოდა, გუშინწინ კი ჩემპიონატის ლიდერებმაც გამართეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ეს დრამატული მატჩი ერთი ქულის სხვაობით დასრულდა.

ძნელია, ზედმიწევნით აღწერო ის ემოცია და ლიდერის კალეიდოსკოპური ცვლილებები, რომელიც თსუ — "ავიამშენის" მატჩის ბოლო წუთებმა დაიტია. ეს იყო ისეთი დაუნდობელი ბრძოლა, რომლის მსგავსიც ამ სეზონში ჯერ არ გამართულა. მატჩი თავიდანვე დაძაბული იყო, მაგრამ ბოლო მეოთხედის ახალდაწყებულზე ლევან მოსეშვილის „ავიაციამ" 15-ქულიანი ლიდერობა მოიხელთა და ბევრმა იფიქრა, თსუ-ს საქმე მოთავებულიაო, მაგრამ მერე ამბები მოხდა, თქვენი მოწონებული.

როცა ირაკლი ბერიშვილმა საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე მიჯრით 2 ორქულიანი ჩააგდო და „ავიამშენი" 78:63 გაალიდერა, თსუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა მოედნიდან ტანმაღალი რიჩარდ ჭათიაშვილი გაიხმო და ბურთი და მოედანი ფეხმარდ მოთამაშეებს დაუტოვა. ეს გასაგებიც იყო, რაკი სტუდენტებს ტაქტიკური და ფარქვეშა ორთაბრძოლებზე აწყობილი თამაში დროის სიმცირის გამო ხელს აღარ აძლევდათ და ბედის ძიება კონტრშეტევებში დაიწყეს.

თავდაპირველად სტუდენტთა ჩანაფიქრი არ ამართლებდა, რაკი ტყუპი ბერიშვილები ჩინებულად უძლებოდნენ „ავიამშენის" შეტევებს და მეტოქეს ყოველგვარ იმედს უსპობდნენ. კი ჩააგდეს სამქულიანები ლუკა შანიძემ და ბუბა ბერიშვილმა და თსუ მეტოქეს 6 ქულით მიაახლოვეს სირენამდე 5 წუთით ადრე, მაგრამ ლევან მოსეშვილმა მოედანზე ირაკლი ხოშტარია დააბრუნა და უკანახაზელთა გამოზომილი პასებით ზვიად ბაბიაშვილმა „ავიამშენს" კვლავ საიმედო ლიდერობა დაუბევა — 88:81 დამთავრებამდე ორწუთნახევრით ადრე.

ეს იყო და თსუ პრესინგზე გადაერთო, რამაც ისეთი ეფექტი მოიტანა, რომ სტუდენტებმა წუთიანი მონაკვეთი 8:0 მოიგეს და ამ თამაშში პირველად დაწინაურდნენ — 89:88. ყველა თსუ-ელმა დიდებულად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, მაგრამ შიო ხეცურიანის ხელმარჯვობა განსაკუთრებითაა გამოსარჩევი. თსუ-ს კაპიტანმა საყოველთაო სტუდენტური პრესინგისას სამჯერ ჩაჭრა ბურთი და ზუსტი პასებით თანაგუნდელები მეტოქის ფარის პირისპირ დატოვა.

მოსეშვილის გუნდი ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა — ფაქტობრივად მოგებულ თამაშს აგებდა და რომ არა იმავ ტყუპი ბერიშვილების თავგამოდება, რომლებმაც თსუ-ს პრესინგისას რამდენჯერმე დაკარგეს ბურთი, „ავიამშენს" წაგება არ ასცდებოდა.

დავით ბერიშვილი იმდენად იყო განერვიულებული, რომ 2 საჯარიმო ააცილა და სირენამდე წუთნახევრით ადრე თსუ-ს ქულიანი ლიდერობა შერჩა.

სტუდენტებმა საპასუხო შეტევაში ქულა მოინაგრეს, მათიაშვილმა ერთი საჯარიმო მოინადირა მხოლოდ და როცა „ავიატორმა" ბაბიაშვილმაც იგივე გაიმეორა, სირენამდე 1 წუთი რჩებოდა, თსუ კი 91:89 იგებდა.

ბოლო წუთი და სტუდენტების შეტევა ერთად დაიწყო და ამ დროს ირაკლი ბერიშვილის დროც დადგა. ტყუპისცალი მანამდეც ყოჩაღობდა, მეორე-მესამე მეოთხედში არაერთი მნიშვნელოვანი საქმე დაატრიალა, მაგრამ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში თავის გამოჩენამ მას ჟურნალისტებისგან ტურის საუკეთესო მოთამაშედ აღიარება მოუტანა. ირაკლიმ მოგვარე ოპონენტ ბუბას მოედნის ცენტრში ბურთი მოპარა და ამ უკანასკნელმაც ჯარიმით აღკვეთა გარდაუვალი ორქულიანი. თუმც ტყუპისცალმა 2 ქულის მითვლა საჯარიმოებით მოახერხა და დასრულებამდე 40 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა — 91:91.

თსუ-მ გადამწყვეტ შეტევაში მთელი გული და სული ჩააქსოვა, სტუდენტებმა გაიყვანეს კიდეც მათიაშვილი ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ "ავიატორებმა" ის ჯარიმით შეაჩერეს და ახალგაზრდა ცენტრმაც მხოლოდ ერთი ქულა შემატა თსუ-ს.

ქულით ჩამორჩენილმა „ავიამშენი" ბოლო შეტევაზე გადავიდა და დასრულებამდე 11 წამით ადრე ნიკა ვეფხვაძემ აკრძალული ხერხით შეაჩერა თსუ-ს ფარისკენ გაჭრილი ირაკლი ბერიშვილი. ტყუპისცალს არც ამჯერად უმტყუნა ნერვებმა და ორივე სროლა უბადლოდ შეასრულა — "ავიატორები" 93:92 დაწინაურდნენ.

11 წამი სრულიად საკმარისი იყო თამაშის გადასარჩენად, მაგრამ მეტოქის საჯარიმოსკენ შეუღწეველით დაძრულ დავით არწივიძეს სეხნია ბერიშვილმა წაუკრა ბურთზე ხელი და — თსუ ბედმა მაინც არ გაწირა — გზააბნეული ბურთი მოხეიალ ფანჩულიძეს მიუვიდა, მაგრამ მისმა სამქულიანმა „ავიამშენის" კალათში ადგილი ვერ იპოვა და ლევან მოსეშვილის გუნდი უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 10 | 10 | 0 | +238 | 20 |
| ავიამშენი | 10 | 8 | 2 | +165 | 18 |
| თსუ | 10 | 6 | 4 | +175 | 16 |
| დინამო | 10 | 3 | 7 | -155 | 13 |
| სტუ | 10 | 2 | 8 | -195 | 12 |
| მაკაბი | 10 | 1 | 9 | -266 | 11 |

## სუპერლიგამ ჟურნალისტებს სტრიტბოლი აჩუქა

**სუპერლიგის** ხელმძღვანელობა ყოველთვის საინტერესო სიახლეებით გამოირჩეოდა და ეს ტრადიცია არც მეორე წრის დასრულების შემდეგ დარღვეულა. გუშინ ვერის ბაღში სახალისო ტურნირი გაიმართა ქუჩის კალათბურთში და მასში ჟურნალისტებისა და სუპერლიგის მოთამაშეთა გაერთიანებული გუნდები მონაწილეობდნენ.

პრინციპი ასეთი იყო: თითოეულ გუნდს ერთი სუპერლიგელის დამატების უფლება ჰქონდა. ტურნირში ათმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი.

ერთ ჯგუფში რუსთავი 2, „მთავარი სპორტი", „სარბიელი", რადიო „ფორტუნა" და თსუ-ს ფანკლუბი გაერთიანდნენ, ხოლო მეორეში — „სპორტის სიახლენი", რადიო „ჯაკო", „ვაკე", „აქსისი" და სუპერლიგის ნაკრები. თითო ჯგუფიდან 2 საუკეთესო აგრძელებდა თასისთვის ბრძოლას, რომლებიც ჯვარედინი პრინციპით ნახევარფინალში წყვილდებოდნენ.

მეორე ჯგუფში ყველაფერი უმტკივნეულოდ გაირკვა — „სუპერლიგამ" და „აქსისმა" ნახევარფინალის საგზური იოლად მოიპოვეს, ხოლო პირველში მეპლეიოფეები დაძაბული ბრძოლების შედეგად გამოვლინდა. პირველ ადგილზე თსუ-ს ფანკლუბი გავიდა, რომელშიც, სხვათა შორის, ერთი ჟურნალისტიც არ თამაშობდა, თსუ-ელ მიხეილ ბერიშვილთან ერთად გუნდი მესტრიტბოლეებმა შეავსეს. მეორე ადგილისთვის ერთბაშად სამი გუნდი შეება, რომლებსაც თანაბარი ქულები დაუგროვდათ და ქულათა უკეთესი ბალანსის წყალობით ნახევარფინალში „მთავარი სპორტი" გავიდა, რომელშიც თსუ-ელი ბუბა ბერიშვილი, ჟურნალისტი ზვიად შათირიშვილი და მესტრიტბოლიე მიშა ამაშუკელი თამაშობდნენ.

ამ ჯგუფში ჩარჩა რუსთავი 2-ის ფავორიტად შერაცხული გუნდი, რომელმაც, სხვათა შორის, ჯგუფის პირველ შეხვედრაში „მთავარი სპორტი" მშრალი ანგარიშით, 8:0 დაამარცხა.

ნახევარფინალები საკმაოდ მოულოდნელად წარიმართა. უფრო სწორად, „მთავარი სპორტისგან" სუპერლიგის გუნდის ძლევას ასდიოდა სენსაციის სუნი, თორემ თსუ-მ დამსახურებულად დაამარცხა „აქსისი". „სუპერლიგაში" ავიამშენელ ზვიად ბაბიაშვილთან ერთად სტრიტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ზაბახიძე, სუპერლიგის მენეჯერი, ყოფილი კალათბურთელი ნიკა ხომასურიძე და ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძე თამაშობდნენ. ესენი „მთავარ სპორტს" 13:7 უგებდნენ ნახევარფინალში, თუმც ბუბა ბერიშვილმა სასწაული სიზუსტე გამოიჩინა და ზუსტი სამქულიანებით 16:13 გაამარჯვებინა თავის გუნდს.

ფინალში კი გაილაღა ბერიშვილმა და კომპანიამ და თსუ-ს ფანკლუბი 10:1 დაამარცხა, რითაც ტურნირის გამარჯვებული გახდა. ბუბა საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს სუპერლიგის მოთამაშეთა შორის, ხოლო ჟურნალისტთაგან რუსთავი 2-ის სპორტული წამყვანი დიმა ობოლაძე გამოარჩიეს.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფინიქსს მზე ჩაუქრა
## ჭინკას ფინტები არ გაუვიდა


ალენ აივერსონი

22 დეკემბერი

**ატლანტა 90:100 ინდიანა**

**ატლანტა:** კლაქსტონი (2), ჯონსონი (30), მ. უილიამსი (18), სმიტი (7), **ფაჩულია** (31 წუთი, 10 ქულა, 14 მოხსნა, 2 პასი); სტუდემაიერი (13), შ. უილიამსი (5), რაიტი (4), აივი

**ინდიანა:** ტინსლი (10), ჯეკსონი (27), ჰარინგტონი (20), ონილი (16 ქულა, 11 მოხსნა), ფოსტერი (3 ქულა, 16 მოხსნა); გრეინჯერი (9), იასიკევიჩუსი (7), ბასტონი (6), არმსტრონგი (2)

„ატლანტას“ შარშან უფრო სუსტი გუნდი ეთქმოდა, მაგრამ რალაც ირონიით ისეთ მძლავრ მეტოქეს, როგორიც „ინდიანაა“ ოთხივე თამაში მოუგო. წლეულს „ინდიანამ“ ამის ნება აღარ მისცა, ერთმანეთში სადებიუტო შეხვედრაში პირველი მეოთხედი 5 ქულით მოუგო, მესამეს შემდეგ 10-ით ჩამოიტოვა და დამაჯერებლად მიიყვანა მატჩი სასურველ დასასრულამდე. „ატლანტა“ ფაქტობრივად მისმა ყოფილმა მოთამაშეებმა დაამარცხეს — სტივ ჯეკსონმა და ალ ჰარინგტონმა ჯამში 47 ქულა ჩაუგდეს. მასპინძლებს ჯო ჯონსონის 30 ქულაც ვერ ეყოთ.

მაგრამ ჩვენ ჩვენი ბიჭისა ვთქვათ — ზაზა ფაჩულიამ 31 წუთში 10 ქულასთან ერთად 14 მოხსნაც გააზერხა და 28 ნოემბერს „ვაშინგტონთან“ გაკეთებული სეზონის პირადი რეკორდი გაიმეორა.

**ფინიქსი 139:144 ვაშინგტონი**

ძირითადი დრო 125:125

**ფინიქსი:** ნეში (42 ქულა, 12 პასი), მერიონი (28 ქულა, 13 მოხსნა), დიაუ (17 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), ბარბოსა (17) სტუდემაიერი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** არენასი (54), ბატლერი (34 ქულა, 10 მოხსნა), სტივენსონი (18), ჯემისონი (15 ქულა, 12 მოხსნა), ჰეივუდი (14 ქულა, 12 მოხსნა)

ვინ და, „ვაშინგტონ ვიზარდსი“! აი, ვინ ჩამოაგდო ჭენებაში დალლილი „ფინიქს სანზი“ ცხენიდან. ფინიქსელ „მზეებს“ ზედიზედ 15 თამაში მოეგოთ და სეზონის რეკორდი დაეთავისებინათ, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს და სტივ ნეშს და მის ძლევამოსილ გუნდს ეს დასასრული ჯილბერტ არენასის და „ვაშინგტონის“ სახით გამოეცხადა.

ოვერტაიმიანი მატჩი, ისევე როგორც „ფინიქსის“ მონაწილეობით სხვა არაერთი, ნამდვილ ამერიკულ თრილერს გავდა ჰოლივულის საუკეთესო ტრადიციებში. არენასმა დამატებითი დროის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე ჩააგდო სამქულიანი, როგორც აღმოჩნდა, გადამწყვეტი და „ფინიქსის“ სერიის შემწყვეტი. საბოლოოდ არენასს 54 ქულა მოუგროვდა. ბევრისთვის ეს რიცხვი კარიერაში თუ არა სეზონში სარეკორდო მაინც იქნებოდა, მაგრამ არა ამ სუპერმექულისთვის — ხალხს ჯერ არ გავიწყებია ერთი კვირის წინ „ლოს ანჯელეს ლეიკერსისთვის“ ჩაკალათებული მისი 60 ქულა. ესეც სათქმელია, რომ „ფინიქსისთვის“ ამაზე მეტი მხოლოდ ერთ კალათბურთელს ჩაუგდია — მაშინ „ლეიკერსში“ მოთამაშე ლეგენდარულმა უილტ ჩემბერლენმა 1969 წელს „სანზს“ 66 ქულა აგემა.

ესეც აღსანიშნავია, რომ „ვაშინგტონმა“ კიდევ ერთ ბობოლას გაუწყვიტა მოგებათა შთამბეჭდავი ჯაჭვი — 4 დეკემბერს დედაქალაქელებმა „დალას მავერიკსს“ ზედიზედ 12 მოგების შემდეგ პირველი მარცხი აწვნიეს.

**დენვერი 96:101 საკრამენტო**

**დენვერი:** ბოიკინსი (25), აივერსონი (22 ქულა, 10 პასი)

**საკრამენტო:** სალმონსი (21 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), მილერი (21 ქულა, 14 მოხსნა)

როგორც იქნა ეს დღეც დაუდგა ალენ აივერსონს. 31 წლის ჭინკა ვარსკვლავს აქამდე ნბას ერთადერთ გუნდში, „ფილადელფია სიქსერზში“ ეთამაშა, დღეიდან კი ის „დენვერ ნაგიტსს“ მოახმარს თავის ნიჭსს. პარასკევს სადებიუტო მატჩში მან 39 წუთში ორმაგი დუბლიც გააკეთა. ნამატჩევს კიდეც კმაყოფილობდა მიუხედავად იმისა, რომ დებიუტი მარცხიანი გამოვიდა და მისი 22 ქულა და 10 პასი ვერ ეყო „საკრამენტოს“ ძლევას — „ბედნიერი ვარ, რომ მითქმა-მოთქმის ეს დომხალი დასრულდა და ახლა შემიძლია მხოლოდ თამაშზე ვიფიქრო. თავისთავად აჯობებდა, რომ მოგვეგო ჩემი სადებიუტო შეხვედრა. თავიდან კიდეც მქონდა ისეთი გრძნობა, რომ მოვიგებდით...“

აივერსონს თამაში ძირითად ხუთეულში არ დაუწყია, მაგრამ შემოვიდა თუ არა მოედანზე, გუნდს მეთაურად ჩაუდგა და ერლ ბოიკინსთან ერთად თითქმის არც დაატყო ლიდერთა (კარმელო ენტონი, ჯეიარ სმიტი) არყოფნა. „დენვერმა“ პირველი ტაიმი 7 ქულით წააგო, მაგრამ მესამე მეოთხედში თითქოს გარდატეხა მატჩი, როცა 32:21 მოიგო და ბოლო მეოთხედის წინ 4 ქულით დაწინაურდა. და მაინც, გადამწყვეტ მეოთხედში სტუმრებმა უფრო გამოიჩინეს ფხა და ნბა-ს ოთხგზის საუკეთესო ბომბარდირს დებიუტი წაუხდინეს.


ზაზა ფაჩულიამ „ინდიანასთან“ ორმაგი დუბლი მიითვალა

**ორლანდო 108:117 გოლდენ სტეიტი**

**ორლანდო:** არიზა (23), ნელსონი (22), ჰილი (21), ჰოვარდი (15 ქულა, 13 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (38), დანლივი (21), ელისი (18), პიეტრუსი (15)

**შარლოტი 101:89 იუტა**

**შარლოტი:** ოკაფორი (21 ქულა, 10 მოხსნა), ფელტონი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**იუტა:** ბუზერი (22 ქულა, 14 მოხსნა), ოქური (19), უილიამსი (15)

**ნიუ იორკი 103:92 ჩიკაგო**

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (30), კარი (20)

**ჩიკაგო:** გორდონი (27), დენგი (20)

**ნიუ ჯერსი 95:99 ლეიკერსი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (33), ჯეფერსონი (18), კიდი (16)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (21 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), პარკერი (13)

**სან ანტონიო 78:97 ჰიუსტონი**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (23), პარკერი (21)

**ჰიუსტონი:** მინი (22), ველსი (15)

**ნიუ ორლეანი 100:97 მემფისი**

ძირითადი დრო 90:90

**ნიუ ორლეანი:** ჯეკსონი (19 ქულა, 10 მოხსნა), მეისონი (17 ქულა, 12 მოხსნა), პარგო (17) პოლი (15 ქულა, 14 პასი),

**მემფისი:** გასოლი (28), მილერი (18)

**მინესოტა 107:113 მილუოკი**

**მინესოტა:** ჯეიმსი (28), გარნეტი (24 ქულა, 14 მოხსნა), დევისი (23)

**მილუოკი:** რედი (29), ბელი (28), უილიამსი (26)

**ბოსტონი 83:98 ფილადელფია**

**ბოსტონი:** ჯეფერსონი (20), გრინი (20)

**ფილადელფია:** იგუდალა (31)

**დალასი 115:83 კლიპერსი**

**დალასი:** ჰოვარდი (25), ჯორჯი (21), ნოვიცკი (20 ქულა, 12 მოხსნა)

**კლიპერსი:** მაგეტი (19), ბრენდი (18)

**პორტლენდი 100:101 ტორონტო**

**პორტლენდი:** რენდოლფი (20), აუთლოო (18), როი (16 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)

**ტორონტო:** ფორდი (23 ქულა, 10 პასი)

23 დეკემბერი

**დეტროიტი 108:81 ატლანტა**

**დეტროიტი:** ბილაფსი (9), ჰამილტონი (16), პრინსი (16), ვოლესი (7), მუჰამედი (19 ქულა, 10 მოხსნა); მაქსეილი (14), მიურეი (11), დელფინო (8), ბლეილოკი (4), მაკდაიესი (2), დევისი (2), დიუპრე

**ატლანტა:** აივი (6), ჯონსონი (12), მ. უილიამსი (19), შ. უილიამსი (11), რაიტი (4); ჯონსი (10 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (10), ფრეი (5), ბოზმანი (4)

***ფაჩულიას არ უთამაშია***

**ინდიანა 71:78 მინესოტა**

**ინდიანა:** ტინსლი (22), ჰარინგტონი (12)

**მინესოტა:** გარნეტი (29 ქულა, 19 მოხსნა)

**ფილადელფია 98:77 ნიუ იორკი**

**ფილადელფია:** იგუდალა (20)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (21)

**კლივლენდი 86:83 ორლანდო**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (32), ილგაუსკასი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**ორლანდო:** ჰოვარდი (17 ქულა, 13 მოხსნა), ჰილი (15)

**მაიამი 105:92 გოლდენ სტეიტი**

**მაიამი:** კაპონო (27), ვეიდი (18)

**გოლდენ სტეიტი:** ბარნსი (20)

**ნიუ ორლეანი 77:112 სან ანტონიო**

**ნიუ ორლეანი:** პოლი (20), ბატლერი (16)

**სან ანტონიო:** პარკერი (19), ჯინობილი (17)

**მემფისი: 97:100 იუტა**

**მემფისი:** მილერი (28), ჯონსი (14)

**იუტა:** ბუზერი (24), ოქური (20)

**ჰიუსტონი 93:98 კლიპერსი**

**ჰიუსტონი:** ბეტიე (28), ჰედი (22)

**კლიპერსი:** ტომასი (21), მობლი (18)

**მილუოკი: 115:104 ნიუ ჯერსი**

**მილუოკი:** უილიამსი (32 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), რედი (21), ბელი (20)

**ნიუ ჯერსი:** ჰაუსი (22), კიდი (21 ქულა, 11 პასი), კარტერი (18), ჯეფერსონი (18)

**ჩიკაგო 115:76 შარლოტი**

**ჩიკაგო:** გორდონი (23), ნოჩიონი (21 ქულა, 11 მოხსნა), სეფოლოშა (14)

**შარლოტი:** ელი (13)

**სიეტლი 110:97 ტორონტო**

**სიეტლი:** ალენი (28), რიდნორი (18)

**ტორონტო:** ფორდი (24), გარბახოსა (18)

ზაზა ფაჩულიამ მიმდინარე სეზონში მეორე მატჩი გამოტოვა — პირველი დისკვალიფიკაციის გამო გაუცდა, ეს მეორეში კი იდაყვის მცირე ტრავმამ არ გაუშვა. „დეტროიტთან“ დამწყებ ხუთეულში ზაზას ადგილი მისმა შემცვლელმა, გამოცდილმა ლორენცენ რაიტმა დაიკავა და... ქულებში 4:19, მოხსნებში კი 2:10 წააგო დუელი დეტროიტელ ოპონენტ ნაზრ მუჰამედთან.

საზოგადოდ „ატლანტას“ კიდევ არაერთი წამყვანი მოთამაშე აკლდა, კერძოდ, სპიდი კლაქსტონი, ტაირონ ლუ და ჯოშ სმიტი, რომ აღარაფერი ვთქვათ კარგა ხნის წინ დაშვებულ საუკეთესო სათადარიგო ჯოშ ჩილდრესზე. „ჰოქსის“ ლიდერი ჯო ჯონსონი ფაქტობრივად მარტო წარუდგა ბოლო წლების ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „დეტროიტს“ და რა გასაკვირია, საერთოდ არაფერი რომ არ გამოუვიდა. ჯონსონმა თამაში მხოლოდ 12 ქულით დაასრულა და სეზონის პირადი ანტირეკორდი გამოაცხო... „ატლანტამ“ კი ზედიზედ მეოთხედ, ბოლო 9 შეხვედრაში კი მერვედ წააგო.

**კოტე ყორშია**

## აNBAვ-ხაბარი

„ფინიქს“ სანზის“ გამთამაშებელი სტივ ნეში მშობლიურ კანადაში წლის ყველაზე გავლენიან ადამიანად დასახელდა სპორტის სფეროში. მეორე ადგილი შეხვდა ნაციონალური ჰოკეის ლიგის კომისარ გერი ბეტმენს, მესამე კი მოციგურავე სინდი კლასენს.

ნეში არა მხოლოდ საკალათბურთო მიღწევების, ანუ ბოლო ორი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის მოგების გამო დააფასეს. ის მოედანგარეთა ქველი საქმეების გამოც აღიარეს — მაგალითად, ერაყის ომის მიმართ თავისი არალოიალური დამოკიდებულების, ანდა ავადმყოფი ბავშვებისთვის ფონდების ხელგაშლილი დაფინანსების გამო.

არ გაუმართლა „ნიუ ჯერსი ნეთსსაც“. ნიუჯერსელებს „ლეიკერსთან“ მატჩისას დაუშავდათ ვინს კარტერის შემდეგ გუნდის მეორე ბომბარდირი ნენად კრსტიჩი, სერბმა ცენტრმა მუხლის მყესები გაიწყვიტა და იქვე მოედანზე დაასრულა ეს სეზონი. ისედაც ხელმოკლე „ნეთსს“ კრსტიჩის სახით მატჩში საშუალოდ 16,4 ქულა და 6,8 მოხსნა დააკლდება და პრაქტიკულად სამი მოთამაშის — ჯეისონ კიდის, ვინს კარტერის და რიჩარდ ჯეფერსონის იმედად დარჩება.

ალენ აივერსონის გადასვლით ისედაც ძლიერ დასავლეთ კონფერენციას „დენვერის“ სახით კიდევ ერთი მძლავრი გუნდი შეემატა, მაგრამ შესაძლებელია, ბობოლათა არცთუ მოკლე სიას ერთი მოაკლდეს. „ჰიუსტონ როკიტსს“ ისედაც არ უმართლებს, ერთთავად დამტვრეული ჰყავს მძლავრი მოიერიშე ტრეისი მაკგრეიდი.

ახლა კი რაკეტებს“ კიდევ ერთი ლიდერი დაუშავდათ — მატჩში საშუალოდ 26 ქულის და 9 მოხსნის მშოვნელმა იაო მინმა „კლიპერსთან“ შეხვედრის პირველივე მეოთხედში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და დაახლოებით 6 კვირას უთამაშებლად დარჩება. ჩინელი ცენტრი სავარაუდოდ გამოტოვებს 18 თებერვალს ლას ვეგასში გასამართ ყველა ვარსკვლავის შოუ-მატჩს.

მაკგრეიდის და მინის გარეშე „ჰიუსტონი“ რა ხვითოცაა, ეს „კლიპერსთანაც“ გამოჩნდა. ამ უკანასკნელს წინა 6 თამაში წაეგო ახლა შემთხვევით ისარგებლა და უიღბლო სერია სწორედ „როკიტსის“ ძლევით შეწყვიტა.



# იმპიჩმენტი და ინაუგურაცია

## საქართველოში ახალი საჭადრაკო რომანი დაიწყო

**შაბათს რომან სიჭინავა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად აირჩიეს. მან კონკურენტ ვახტანგ ბოჭორიძეს დიდი უპირატესობით აჯობა და ამ თანამდებობაზე დაახლოებით ორი წელი იმუშავებს.**

**არჩევნები კი საკმაოდ დრამატულად წარიმართა, ხშირად იყო ერთმანეთის ლანძღვა, უცენზურო რეპლიკები და მისთანები, თუმც ჯობს, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.**

**ყრილობის დაწყებამდე გაუგებრობა შეიქმნა მანდატებთან დაკავშირებით, მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა — 126 დელეგატიდან დარბაზში 98 იმყოფებოდა, რაც ქვორუმისთვის საკმარისი იყო და სხდომაც დაიწყო**



სიტყვით პრეზიდენტობის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი და ერთ-ერთი კანდიდატი *აკაკი იაშვილი* გამოვიდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში გარდაცვლილი მოჭადრაკეები გაიხსენა და წუთიერი დუმილით მათ ხსოვნას პატივი მიაგეს.

სხდომა ვიცე-პრეზიდენტმა *კახი ჩიგოგიძემ* გახსნა:

— ორი წლის წინ აქ პრეზიდენტად გურამ აბსანძე ავირჩიეთ, თუმც როგორც გამოჩნდა, არ გაამართლა. მაშინ ჩვენ დავისახეთ გეგმა, მაგრამ ფინანსური პრობლემები შეგვექმნა და ვერ განვახორციელეთ. აბსანძე 250 ათასს ლარს გვპირდებოდა, სპორტის დეპარტამენტმა კი 130 ათასი გამოგვიყო და კრიზისიც დაიწყო. მივხვდი, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა და განცხადება დავწერე. მას შემდეგ ფედერაციაში აბსანძემ შესამოწმებლად კონტროლის პალატა მოიწვია, რასაც ფინანსური პოლიცია და 55-ათასიანი ჯარიმა მოჰყვა. კარგი იქნებოდა, ამ ყრილობას თვითონ პრეზიდენტიც დასწრებოდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა.

სასირცხვილოა, რომ პრეზიდენტმა ფედერაციას ამხელა ჯარიმა დაუტოვა, ახლა ერთ-ერთი კანდიდატის რომან სიჭინავას მხარდაჭერისკენ მოგვიწოდებს და მის სასარგებლოდ პროქსიც გამოაგზავნა.

ამაზე დარბაზში მყოფი სიჭინავა განაწყენდა და განაცხადა, კაცმა თავის ნება რომ გამოხატა, ამით რა დააშავაო?

დარბაზიც აჩოჩქოლდა, მარტო აბსანძეზე უნდათ ჯოხის გადატეხვა და ნამდვილ მიზეზს მალავენო. მიუხედავად ამისა, სხდომა გაგრძელდა და ტრიბუნასთან ფედერაციის გენერალური მდივანი მიხეილ კეკელიძე მივიდა. მან ბოლო ორ წელიწადში მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. დიდად შეაქო ახალგაზრდები და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლები ჩამოთვალა, ასევე შეეხო ოლიმპიადაზე გამოსვლას და მათი შედეგებიც წარმატებულად ჩათვალა.

ამ დროს ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ***ზურაბ აზმაიფარაშვილი*** წამოდგა და კეკელიძე გააკრიტიკა, მას მუშაობის სტილი დაუწუნა და უსაყვედურა, ამხელა წარმატებებზე ასე ზერელედ და მშრალად არ უნდა ლაპარაკობდეო.

მომდევნო სიტყვა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა *ლაშა ჯანჯღავამ* ითხოვა:

— მეც აბსანძის გუნდში ვიყავი, მაგრამ ოჯახური პირობების გამო საქმეში გვიან ჩავერთე. ვფიქრობ, რომ რეგიონებში ჭადრაკის განვითარება აუცილებელია. ამიტომაც შევქმენით რეგიონალური საბჭო და ყველგან ფედერაცია დავაარსეთ. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ფინანსური პრობლემები წარმოიშვა და ბევრი გეგმა განუხორციელებელი დაგვრჩა. ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვიღებ, მაგრამ ვერ დავეთანხმები პათოსს, თითქოს აქ მუშაობა არ ყოფილიყოს.

*აკაკი იაშვილი:*

— როცა აღმასრულებელი დირექტორი გავხდი, ფედერაციას უკვე მრავალი პრობლემა და ვალი ჰქონდა დაგროვილი. ავიღე პასუხისმგებლობა და ბევრი სასარგებლო საქმეც გავაკეთე. 2006 წლის დასაწყისში 8 ათასი ევრო ფიდეს ვალი გვქონდა, 7 ათასი კი — ევროკავშირის. ეს ვალები გასტუმრებულია. ჩემი ძალისხმევით ბათუმში ასაკობრივი ჩემპიონატი ჩატარდა, რაც საკმაოდ დიდი მოვლენა იყო ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში. სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა ეს ჯორჯ ბუშის ვიზიტს შეადარა. გარემონტდა ჭადრაკის სასახლე. იცით, რომ 55 ათასი ვალი დაგვრჩა, თუ რომელიმე კანდიდატი მოგვცემს გარანტიას, რომ ვალს 14 იანვრამდე დაფარავს, კანდიდატურას მის სასარგებლოდ მოვხსნი.

დარბაზი კვლავ უკმაყოფილო დარჩა, შენობა კი კეთდება, მაგრამ ტურნირები აღარ ტარდებაო, ჩიოდნენ მოჭადრაკეები.

სიტყვა კვლავ ზურაბ აზმაიფარაშვილმა ითხოვა:

— აქ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენთვის წარმატებული იყო, შემოსული თანხით ვალები დაიფარა და მრავალმა ახალგაზრდამ კარგი გამოცდილება მიიღო. შეჯიბრი საბერძნეთში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ პრემიერ ზურაბ ნოღაიდელის ძალისხმევით ჩვენ ვუმასპინძლეთ. ამის გამო შანტაჟშიც წავედი. მაშინ ფიდეს არჩევნები ახლოვდებოდა და კირსან ილუმჟინოვს ვუთხარი, თუ არ დაგვეხმარები, ხმას ვერც მე და ვერც ჩემი მეგობრები ვერ მოგცემენ-მეთქი. მგონი, კარგი საქმე გავაკეთე და ამხელა კრიტიკა არ უნდა იყოს.

ლაშა ჯანჟღავა კვლავაც გაბრაზდა და განაცხადა, გურამ აბსანძეს კარგი საქმის გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ და ყველაფერში ხელს უშლიდნენო. საუბარში კვლავ აზმაიფარაშვილი ჩაერთო:

— არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ კარგი იდეა მომივიდა თავში. ამბობენ, მიცვალებულებზე ცუდს არ ამბობენო, მაგრამ ის კაცი ცოცხალია და უნდა ვთქვა. თავის დროზე აბსანძეს მეც დავუჭირე მხარი, მეგონა, როგორც სახელმწიფო მინისტრი, ჭადრაკისთვის ბევრს გააკეთებდა. თავიდან კარგი გეგმები შევიმუშავეთ, მაგრამ ესენი მხოლოდ ფურცელზე დარჩა. სამწუხაროდ, მან ვერ გააერთიანა საჭადრაკო გუნდი და ფინანსური კრიზისიც მივიღეთ. ამაში ჩვენც ვართ დამნაშავეები, რადგანაც დროზე არ მოვახდინეთ რეაგირება და თანამდებობიდან არ გადავაყენეთ. ახლა გვაქვს შანსი, რომ თუნდაც ხუთი წუთით პრეზიდენტი გადავაყენოთ და ამის პირველი პრეცედენტი შევქმნათ.

დელეგატთა უმრავლესობამ აზმაიფარაშვილს მხარი დაუჭირა და პრეზიდენტის იმპიჩმენტიც შედგა. თავი მხოლოდ ორმა დელეგატმა შეიკავა და დარბაზში მყოფები გააკრიტიკა, თუ იცოდით, რომ აბსანძე ცუდი კაცი იყო, აქამდე რატომ დუმდითო.

პრეზიდენტობის კანდიდატებიდან პირველი კახი შალამბერიძე გამოვიდა, რომან სიჭიანავას სასარგებლოდ კანდიდატურა მოხსნა და იაშვილსაც გაჰკრა კბილი, ულტიმატუმებს ნუ გვიყენებ და ბოლომდე იყარე კენჭიო. შემდეგ მეორე კანდიდატი, თამარ ხმიადაშვილი გამოვიდა და მანაც სიჭინავას სასარგებლოდ თქვა უარი პრეზიდენტობაზე.

მომდევნო გამოსვლა *რომან სიჭინავასი* იყო:

— ჩემთვის პრიორიტეტული მთელი საჭადრაკო სამყაროა, ოლიმპიური ნაკრებით დაწყებული, მოყვარულებით დამთავრებული. მაქვს წინადადება, რომ გამგეობის მაგივრად აღმასკომი შევქმნათ და მას პრეზიდენტის გადაყენება შეეძლოს. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და ყველას თავისი ადგილი მივუჩინოთ. ჩვენ დიდი ფინანსური გარანტიები გვაქვს და ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეგვიძლია.

მომდევნო კანდიდატმა ვახტანგ ბოჭორიძემ თავიდან საკუთარი ბიოგრაფია გაგვაცნო მოკლედ და დაიწყო:

— ფიდეს აქვს ლოგო „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ", აქ რომ გიყურებთ, სულ სხვა მდგომარეობაა და არ შეიძლება, თანამდებობის გამო ერთმანეთი დავჭამოთ. ჩვენ უდიდესი პოტენციალი გვქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ. აუცილებელია მარკეტინგის სამსახურის შექმნა, რომელიც ფედერაციაში ფინანსებს განკარგავს. აუცილებელია საწევროების შემოტანაც. თუ დიდოსტატი უცხოურ ტურნირზე სოლიდურ თანხას მოიგებს, პროცენტი ფედერაციას უნდა ჩაურიცხოს. ფედერაცია მეწველი ძროხა არ არის, ხანდახან ბალახიც უნდა დაუყარო. ასევე მაქვს გარანტია მრავალი კომპანიისგან და ჩემი გამარჯვების შემთხვევაში გვერდში დაგვიდგებიან. მსურს, დავაარსო „საქართველოს საპატიო მოჭადრაკის ტიტული" და მას ცნობილ მოჭადრაკეებს გადავცემთ. ასევე აუცილებელია რომ ჭადრაკის სასახლის წინ მათი ვარსკვლავიც გაიხსნას. თუ სურვილი ექნებათ, ჩემს გუნდში ყოფილ კონკურენტებსაც მივიღებ და ვფიქრობ რომ ამით შექმნილ დაპირისპირებას ბოლო მოეღება.

ბოჭორაძის შემდეგ სიტყვა კვლავ აზმაიფარაშვილმა ითხოვა:

— ახლახან პრაღაში ბესელ კოკმა და კირსან ილუმჟინოვმა ახალი კომპანია დაარსეს. კომპანიის 100 პროცენტი ილუმჟინოვისაა და მასში 9 მილიონი დოლარის ჩადებას აპირებს. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტად კოკი დანიშნა. ბესელს ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს და ილუმჟინოვიც ენდო. ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიც მარტო ძმაკაცობით არ უნდა გადაწყდეს და ღირსეული უნდა ავირჩიოთ. პირადად მე არავის არ ვუჭერ მხარს, მაგრამ ვინც კარგ საქმეს წამოიწყებს, ყველანაირად გვერდში დავუდგები.

დელეგატები წესდების შესწორებაზე გადავიდნენ, თუმც შემდეგ გადაიფიქრეს, ჯერ არჩევნებს მოვრჩეთ და მაგას მერე მივხედოთო.

კენჭისყრის დაწყებამდე იაშვილმა კანდიდატურა მოხსნა და არჩევნები დახურულ კარს მიღმა ჩატარდა, დელეგატები ხმის მისაცემად ოთახში სათითაოდ შედიოდნენ. ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ დარბაზში ყველა შეგვიშვეს და შედეგებიც გამოაცხადეს. ყუთში სულ 77 ბიულეტენი ჩავარდა. აქედან 68 კაჭარავას სასარგებლოდ, 4 ბოჭორიძის, ხოლო ხუთი გაუქმდა. ამას კაჭარავას მხარდამჭერი აბსნაძის 20-ხმიანი პროქსიც დაემატა და საბოლოოდ კონკურენტს 84 ხმით აჯობა.

აღსანიშნავია, რომ დარბაზში შესულებს ძველი ხელმძღვანელობა — იაშვილი, ჯანჯღავა და ჩიგოგიძე არ დაგვხვდა და მათი ადგილი მაშინვე ახალმა წარმომადგენლებმა დაიკავეს.

რომან კაჭარავამ ყველას მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის და ქართული ჭადრაკის აღორძინებას დაგვპირდა. ბოლოს კი სამი ვიცე-პრეზიდენტიც დასახელა: გიორგი ყაჭეიშვილი, თამარ ხმიადაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი.

**ლაშა გეგეჭკორი**



**აკაკი იაშვილი, კახი ჩიგოგიძე და ზურაბ აზმაიფარაშვილი**



# პატარა ბიჭები მამაცი გულებით

**20-22 დეკემბერს უკრაინამ წყალბურთელთა ღია პირველობას უმასპინძლა და ამ ტურნირში ტრადიციულად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც მონაწილეობდა. ქართველ ახალგაზრდებს წინასწარ განსაზღვრული ოთხი მატჩის ნაცვლად სამის ჩატარება მოუხდათ. ორგანიზატორებმა ხარკოვის გუნდი მეორე ჯგუფში გადაიყვანეს, რომ თანაბარი ოთხოთხ გუნდა ჯგუფები გამოსულიყო. ამ სამი თამაშიდან ჩვენებურებმა ორი წააგო — მარიუპოლ 1-თან და ბელარუსის ნაკრებთან — მარიუპოლის მეორე გუნდთან კი დამაჯერებლად იმარჯვა — 10:4. ნაკრები თბილისში გუშინწინ დაბრუნდა. უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე კი დაწვრილებით მოგვითხრო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ**

→ პირველი თამაში ყველაზე ძლიერ გუნდ მარიუპოლ პირველთან მოგვიწია. თავიდან ჩვენ დავწინაურდით და პირველი პერიოდი 3:1 მოვიგეთ. საერთოდაც ბიჭები დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. ყოველთვის ასეა, ძლიერ მეტოქეს კარგად ვეთამაშებით, რადგან ფსიქოლოგიური პრობლემა მოხსნილი გვაქვს.

ბოლო პერიოდის წინ ანგარიში საყაიმო, 7:7 იყო. გადამწყვეტი ეს პერიოდი აღმოჩნდა. გამოცდილებამ თავისი გაიტანა და 8:10 დავმარცხდით. ბიჭებზე სასაყვედუროდ ენა არ მომიბრუნდება, ყველამ ბოლომდე თავდადებით იბრძოლა. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის ფაქტორიც, რომ უკრაინაში მხოლოდ ცხრა კაცი გვყავდა. ბიჭები თითქმის შეუცვლელად თამაშობდნენ, უკრაინელებს კი გუნდში 12 მარტო ნაკრების მოთამაშე ჰყავთ. მათ ზურგს უდიდესი გამოცდილება და კარგი მომზადება უმაგრებთ.

— მსაჯებმაც ხომ არ დაგჩაგრეს?

— არ მიყვარს მსაჯებზე საუბარი, მაგრამ სხვა გზა არაა: მათაც შეიტანეს წვლილი ჩვენს დამარცხებაში. შეიძლება, რიგ შემთხვევაში დიდი შეცდომა არ დაუშვიათ, მაგრამ ასეთ დროს პატარა ნიუანსებიც გადამწყვეტია. მარიუპოლის მეორე გუნდს მსაჯებმაც ვერ უშველეს, იოლად მოვუგეთ. აი, ბელარუსთან დამარცხებამ კი ყველაზე მეტად დამწყვიტა გული. მათ ორივე თამაში დიდი ანგარიშით დათმეს. ერთ-ერთ მატჩს ჩვენც დავესწარით და მოწინააღმდეგე კარგად შევისწავლეთ. ბიჭები აუზში დაჯერებულები ჩავიდნენ და იქნებ ამანაც იქონია გავლენა 6:8 დავმარცხდით. ისე, საშინლად არ გაგვიმართლა. ზედმეტი კაცი 13-ჯერ გავიყვანეთ, მაგრამ რად გინდა, ხან მეკარეს ვარტყამდით, ხანაც ძელს. ბოლოს ბიჭებიც ანერვიულდნენ და...

— გასაგებია, რომ გუნდმა ფაქტობრივად შეცვლების გარეშე ითამაშა, მაგრამ გუნდს იქნებ ფიზიკური მომზადების მხრივ ჰქონდა პრობლემები?

— არა, ბიჭები კლუბებიდან ნამდვილად მომზადებულები ჩამოვიდნენ. ამ მხრივ მაინც არა გვაქვს საწუწუნო. იქ ნამდვილად კარგი პირობები აქვთ საიმისოდ, რომ ფორმაში იყვნენ. მთავარი პრობლემა შეუთამაშებლობაა.

— ახალგაზრდა წყალბურთელებიდან ისეთი თუ გამოჩნდა, ვისიც გეიმედებათ?

— ზურა რურუა რომ პერსპექტიულია, ეს მან უკრაინაშიც დაამტკიცა, სადაც 12 გოლით ბომბარდირი გახდა. ნაკრებში უფრო პატარებიდან კი 15 წლის სანდრო რუსიშვილს გამოვარჩევ, ეს ბიჭი ნამდვილი ტალანტია. დარწმუნებული ვარ, ბევრს მიაღწევს.

— როგორია თქვენი უახლესი გეგმები?

— ვარჯიშებს გავაგრძელებთ და იანვარში გასამართ ევრო 2007-ის კენჭისყრას დაველოდებით. უკრაინის ღია პირველობის მეორე ტურში კი, რომელიც თებერვალში გაიმართება, უკეთ უნდა გამოვიდეთ. პრობლემების მიუხედავად, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

**ლევსო მაისურაძე**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ბონდრას 500

22 დეკემბერი

**ვაშინგტონი 1:4 ნიუ ჯერსი**
*0:0 1:2 0:2*
0:1 ზეიჟაკი (26), 1:1 კლარკი (29), 1:2 ელიაში (39), 1:3 ჯიონტა (45), 1:4 პარიზე (50)

**კაროლინა 5:1 აილენდერსი**
*2:0 2:0 1:0*
1:0 ბრინდამორი (4), 2:0 უილიამსი (13), 3:0 კოული (22), 4:0 ბელანჟე (27), 5:0 უოქერი (42), 5:1 საიმონი (49)

**კოლუმბუსი 3:2 ვანკუვერი**
*2:0 0:1 1:1*
1:0 ჯონსონი (7), 2:0 კარტერი (12), 2:1 ბიექსა (23), 3:1 ნეში (55), 3:2 დ. სედინი (59)

**დეტროიტი 3:1 მინესოტა**
*1:1 2:0 0:0*
1:0 ზეტერბერგი (4), 1:1 ვეილო (15), 2:1 კლირი (30), 3:1 ლიდსტრომი (39)

**ჩიკაგო 3:1 ტორონტო**
*0:1 1:0 2:0*
0:1 პოლი (16), 1:1 სმოლინსკი (32), 2:1 ბონდრა (46), 3:1 სიბრუკი (58)

23 დეკემბერი

**ფილადელფია 3:6 ოტავა**
*2:1 1:2 0:3*
0:1 კორვო (7), 1:1 იგერი (13), 2:1 კარტერი (18), 2:2 ფილიპსი (33), 2:3 ჰამელი (35), 3:3 კალდერი (39), 3:4 ალფრედსონი (49), 3:5 შეფერი (53), 3:6 ალფრედსონი (60)

**ატლანტა 5:2 ნიუ ჯერსი**
*2:2 1:0 2:0*
0:1 პარიზე (23), 1:1 მაკარტი (7), 1:2 პარიზე (13), 2:2 ჰოლიკი (20), 3:2 ჰნიდი (27), 4:2 კოზლოვი (49), 5:2 კოვალჩუკი (60)

**ბოსტონი 4:2 მონრეალი**
*2:1 0:1 2:0*
1:0 ჩარა (9), 2:0 შტურმი (13), 2:1 კომისარეკი (17), 2:2 რაიდერი (33), 3:2 იურჩინა (47), 4:2 ჩისტოვი (48)

**აილენდერსი 4:0 კოლუმბუსი**
*1:0 1:0 2:0*
1:0 ბლეიკი (3), 2:0 ჰანტერი (27), 3:0 სილინჯერი (42), 4:0 კოზლოვი (50)

**ტორონტო 2:3 ვაშინგტონი**
*0:0 0:3 2:0*
0:1 ოვეჩკინი (33), 0:2 სიომინი (34), 0:3 ზუბრუსი (39), 1:3 სუნდინი (44), 2:3 სუნდინი (44)

**ფლორიდა 2:3 კაროლინა**
*2:1 0:1 0:0 0:1 (ოვერტაიმი)*
1:0 ო. იოკინენი (1), 2:0 რობერტსი (6), 2:1 უიტნი (11), 2:2 უილიამსი (37), 2:3 კოული (62)

**ტამპა 4:3 რეინჯერსი**
*0:2 0:1 4:0*
0:1 სტრაკა (17), 0:2 ბეტსი (20), 0:3 უორდი (29), 1:3 ბოილი (42), 2:3 ბოილი (43), 3:3 ლეკავალიე (46), 4:3 ბოილი (52)

**სენტ ლუისი 3:2 ბუფალო**
*1:0 0:2 1:0 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 ჯონსონი (6), 1:1 ჰეხტი (22), 1:2 პომინვილი (37), 2:2 გერინი (50), 3:2 გერინი (62)

**ნეშვილი 7:0 ლოს ანჯელესი**
*2:0 4:0 1:0*
1:0 არნოტი (6), 2:0 კარია (15), 3:0 ლეგვანდი (25), 4:0 არნოტი (30), 5:0 დიუმონი (36), 6:0 დიუმონი (40), 7:0 ლეგვანდი (46)

**დალასი 3:2 ედმონტონი**
*1:0 2:2 0:0*
1:0 კლემი (11), 2:0 ლეჰტინენი (27), 3:0 ბუშე (28), 3:1 ბერჟერონი (34), 3:2 ლუპული (40)

**მინესოტა 3:2 დეტროიტი**
*0:0 0:0 2:2 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 კოივუ (44), 1:1 ჰოლმსტრომი (51), 1:2 დრეიპერი (57), 2:2 პერიში (57), 3:2 ბუშარი (63)

**ფინიქსი 2:0 ანაჰაიმი**
*0:0 0:0 2:0*
1:0 დოუნი (55), 2:0 შოსტრომი (56)

**კოლორადო 3:2 ჩიკაგო**
*2:2 1:0 0:0*
0:1 ვრბატა (3), 1:1 საკიკი (3), 2:1 ვოლსკი (11), 2:2 შარპი (12), 3:2 ვოლსკი (25)

**სან ხოსე 4:1 კალგარი**
*0:1 2:0 2:0*
0:1 ლომბარდი (18), 1:1 გოჩი (27), 2:1 მიხალეკი (31), 3:1 სმითი (44), 4:1 ჰენენი (60)



**მიმდინარე** სეზონი უკვე არაერთი მიღწევით აღინიშნა — კარიერაში მე-600 გოლები გაიტანეს იარომირ იაგრმა და ბრენდან შენაჰანმა, ტეემუ სელიანემ კი 500-შაიბიან ზღვარს გადააბიჯა. ამ უქმეებზე კიდევ ერთი ჰოკეისტი შეუერთდა ამ ელიტარულ კლუბს — პეტრ ბონდრამ „ფინური ელვის" შედეგი გაიმეორა და ნჰლ-ის ისტორიაში 37-ე მოთამაშედ იქცა, 500-გოლიანი ზღვარი რომ გადალახა. სლოვაკი სნაიპერის გოლით „ჩიკაგომ" „ტორონტო" დასცა.

„ორი-სამი მატჩია, ბიჭები ამაზე მელაპარაკებიან, მაგრამ ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია, რათა გუნდის ინტერესები არ დაზარალებულიყო. ამიტომ ახლა ერთიორად ბედნიერი ვარ, რომ ჩემთვის ამდენად სასიხარულო გოლმა საერთო წარმატებასაც შეუწყო ხელი" — ხარობდა იუბილარი.

„უდავოდ უდიდესი მიღწევაა. ამასთანავე დიდებულია, რომ ეს გოლი გამარჯვებისა გამოდგა" — განაცხადა ნამატჩევს „ჩიკაგოს" მწვრთნელმა, წარსულში ნჰლ-ის კაშკაშა ვარსკვლავმა დენი სავარმა, რომლის ანგარიშზეც „მხოლოდ" 473 შაიბაა.

„ტორონტოს" კი თითქოს ეს წაგება არ ეყოფოდა და მიჩიგანის სანაპიროებზე ორ ქულასთან ერთად ერთ-ერთი ლიდერი მაიკლ პეკაც დაკარგა, რომელიც ყინულს სამი თვით დაემშვიდობა. ხოლო სანამ „მეიპლ ლივზი" პეკას გარეშე თამაშს მიეჩვეოდეს, შაბათს კიდევ ერთი მატჩის წაგება „მოახერხა", თან სახლში, „ვაშინგტონთან". დედაქალაქელთა წარმატების შემოქმედი ამჯერად არა ალექსანდრ ოვეჩკინი, არამედ კარის დარაჯი ოლაფ კოლციგი იყო — „კომილამ" 35 დარტყმა მოიგერია. თუმც გვერდზე არც ოვეჩკინი დარჩენილა და თითო შაიბა-პასი ამჯერადაც ჩაიწერა აქტივში. რუსისთვის ეს წლეულს გატანილი 24-ე შაიბა აღმოჩნდა, რითაც ის მარიან ჰოსასა და ბრენდან შენაჰანს დაეწია.

არ დაადგა საშველი „ნიუ იორკ რეინჯერსს" — გუნდმა ზედიზედ მეხუთედ წააგო. „ცხენოსანი პოლიციელების" ეს მარცხები თავისებურებებით გამოირჩეოდა — თავიდან პანტაპუნტით უშვებდნენ გოლებს, აგერ ახლა კი, ზედიზედ მეორე თამაშია, რაც მოპოვებულ უპირატესობას მესამე პერიოდში ქარს ატანენ. შაბათს „რეინჯერებმა" განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი და „ტამპას" სამგოლიანი ჩამორჩენა აღმოაფხვრევინეს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ფლორიდელთა რიგებში თავი მცველმა დენ ბოილმა გამოიდო, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა და ერთხელაც ვენსან ლეკავალიეს უპასა.

„ფილადელფია" „წარმატებით" ახანგრძლივებს თავისი ანტირეკორდს — გუნდმა ზედიზედ მეცხრედ წააგო და კიდევ ერთხელ შერცხვა საკუთარი მაყურებლის წინაშე. „მფრინავი ესკადრილია" შაბათს „ოტავამ" დაცხრილა, რაშიც დიდი წვლილი დანიელ ალფრედსონმა შეიტანა, რომელსაც ახლა თავზე უფრო მეტი პასუხიმგებლობის აღება მოუწევს, რადგანაც „სენატორებმა" საუკეთესო პლეიმეიკერი ჯეისონ სპეცა საკმაო ხნით დაკარგეს.

ბოლოს და ბოლოს წააგო „ანაჰაიმმაც", მაგრამ ყველასდა გასაკვირად, ეს მაჩანჩალა „ფინიქსთან" შეხვედრაში მოხდა. „კოიოტების" მაისურაში პირველი შატაუტი შეასრულა მიქაელ ტელკვისტმა, რომელსაც რამდენჯერმე ძელიც მიეხმარა. უიღბლო დღე ჰქონდა ჩემპიონატის კიდევ ერთ ლიდერ „ბუფალოსაც", რომელიც ასევე მაჩანჩალა „სენტ ლუისთან" დამარცხდა. თუმც აქ მაინდამაინც გასაკვირი არაფერი ყოფილა, რადგანაც „ბლუზმენები" ტრადიციულად კარგად თამაშობენ „ხმლების" წინააღმდეგ — უკანასკნელი 8 შეხვედრა ხომ მისისიპელთა გამარჯვებით დასრულდა.

**კახა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაზა კედელაშვილი სპორტის დეპარტამენტმაც აღიარა



2006 წლის საუკეთესო მწვრთნელი შოთა ხაბარელი

# სიმღერა, სუფრა, სპორტი

## დეპარტამენტმა რჩეულები გამოარჩია

**საქართველოს** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა 2006 წლის სპორტული სეზონი რიყეზე შეაჯამა. რესტორან „სარაჯიშვილში" საუკეთესოთა დასახელება-დაჯილდოების ცერემონიალმა ტრადიციული ქართული სუფრისა და ცეკვა-სიმღერის თანხლებით ჩაიარა. მაგიდებს მოქმედი და ვეტერანი ტიტულუხვი სპორტსმენები, სხვადასხვა სახეობათა ფედერაციების წევრები, მსაჯები, ჟურნალისტები და ქართული სპორტის სათავეში მდგომნი შემოუსხდნენ. საღამოს კი მსახიობი დუტა სხირტლაძე და ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი გაუძღვნენ.

ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოცხადებამდე დეპარტამენტმა დამსწრეთ ახალთახალი ჟურნალი „სპორტი და ახალგაზრდობა 2007" წარუდგინა. მისი რედაქტორი, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი კი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

სპორტსმენთაგან პირველი ჯილდო ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მიიღო მსოფლიოს თასზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლისთვის. ცნობისთვის, სალუქვაძე პირველი ქართველია, რომელმაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია გაინაღდა. მას საპატიო სიგელი გადაეცა. ანალოგიური სიგელითვე დაჯილდოვდა ჭადრაკის ფედერაციაც, ბათუმში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატისთვის.

სამ-სამი ათასი დოლარით დაასაჩუქრეს ვეტერანი სპორტსმენები მზია ჯუღელი და ვახტანგ ბალავაძე. მათ წლეულს 80 წელი შეუსრულდათ. 2006 წელს თავგამოჩენილთა დასაჩუქრება კი ორგანიზატორებმა ბოლოსთვის მოიტოვეს.

მოციგურავე ელენე გედევანიშვილი წლის საუკეთესო სპორტსმენ გოგონად დაასახელეს. ევროპის აბსოლუტური პრიზიორი, ძიუდოისტი ადამ ოქრუაშვილი საუკეთესო ახალგაზრდა გახდა. მოჭიდავე დავით მოძმანაშვილი — წლის აღმოჩენა, კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები — საუკეთესო ახალგაზრდული ნაკრები. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის გამნაღდებელ მორაგბეთა ნაკრებს წლის ნაკრების სახელი არგუნეს, მსოფლიოს ჩემპიონ ძიუდოისტებს — წლის გუნდის. ამ უკანასკნელთ პრეზიდენტის სპეციალური პრიზი, 36 ათასი დოლარიც გადასცეს.

ფულადი ჯილდოები ერგოთ წლის მწვრთნელსა და სპორტსმენსაც. ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა პრეზიდენტის განკარგულებით 11 ათასი დოლარი მიიღო, უმთავრესი აღიარების მომპოვებელმა ძიუდოისტმა ზაზა კედელაშვილმა კი 7 ათასი.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონი კედელაშვილი ოლიმპიური კომიტეტის შემდეგ სპორტის დეპარტამენტმაც აღიარა. ჟურნალისტების რჩეული კი 28 დეკემბერს სასტუმრო „მეტეხში" გაირკვევა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***



ვახტანგ ბალავაძე და მზია ჯუღელი



ელენე გედევანიშვილი



ჟურნალ „სპორტი და ახალგაზრდობა 2007"-ის მთავარი რედაქტორი ელგუჯა ბერიშვილი საპატიო სიგელით დააჯილდოვეს

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00